# არჩევნებში გამარჯვებული 1 120 000 ქართველი მუდამ ღირსებით ივლის ევროპისკენ!


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

ფასი 1 ლარი

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№124 (9804) 2024 წლის 30 ოქტომბერი. ოთხშაბათი




პამფლეტი

გიორგი მამაცაშვილი

## ქალბატონმა დედაბერმა აქცია დააანონსა...

არჩევნების შედეგებს აპროტესტებს

პუბლიცისტური სჯანი

თეიმურაზ ქორიძე

## ქართული ტრაგიკომედია ევროპელი მაყურებლის სცენარით



2-3

საზოგადოება ქართული

## ოთარ ფალიანი ლადო ასათიანის პრემიის პირველი ლაურეატია!



8-9



## 54% ხელისუფლების მყარი რესურსია!

„დიდება მეფეს“!

4

„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ განცხადება

## არ წახვიდეთ უმრავლესობის ნების წინააღმდეგ!

5

ერთიანი ნეიტრალური საქართველო

## ყველა ცხინვალელის სამაგიდო წიგნი!




7



ლინ ძიანი:

## საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ხავერდოვნად ჩატარდა!

12

WINER

## მეღვინეობა „ფალავანი“

ტრადიციული და თანამედროვე ღვინის სინთეზი



6

## აღდგენილია ერეკლე II-ის სტამბაში გამოცემული „ჟამნი“



13

# ქართული ტრაგიკომედია ევროპელი მაყურებლის სცენარით

## მოქმედი პირნი და შემსრულებლები:



**მაყურებელი** – ჩრდილში მდგომი ყოვლისშემძლე ფიგურა, ვინც ფაქტობრივად წარმართავს მსოფლიო პოლიტიკას და ვისი ნამდვილი ზრახვები უცნობია კაცობრიობისთვის; 1930 წელს დაბადებული უნგრული წარმოშობის ამერიკელი მულტიმილიარდერი **ჯორჯ სოროსი**, იგივე – **დიორდ შოროში**;



**ჰარიფი** – დიდი თანამდებობის მქონე პოლიტიკური ფიგურა საერთაშორისო არენაზე, ვინც დარწმუნებულია, რომ მისი სიტყვა კანონი უნდა იყოს საქართველოს ხალხისა და ხელისუფლებისთვის; აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **ენტონი ბლინკენი**;



**ფორთოხალა** – საკუთარი ბრიყვული წარმოდგენების მარადიული მონა, თითით საჩვენებელი ცრუპენტელა, თავისი გაბრიყვებული ფანების სიცოცხლის ფასად სახელმწიფო გადატრიალებაზე მეოცნებე ლაჩარი; საქართველოს პრეზიდენტი 2004-2013 წლებში **მიხეილ სააკაშვილი**;



**პასრედნიკი** – გარყვნილების მღაღადებელი და თავადაც თითით საჩვენებელი გარყვნილების ნიმუში; ქართული რადიკალური ოპოზიციის მეგობარი და დამრიგებელი, მამრობითი სქესის ორნაქმარევი გერმანელი პოლიტიკოსი **მიხაილ როთი**;



**მამაშა** – ყოვლად უფუნქციო და არაფრის მაქნისი პოლიტიკური ფიგურა, ვინც უშუალოდ იღებს და ასრულებს მაყურებლის მითითებებს; საფრანგეთიდან ფორთოხალას მოწვევით ჩამოსული და „ქართული ოცნების“ უდიდესი ძალისხმევით გაპრეზიდენტებული, თავისი საეჭვო საქციელის მქონე წინაპრებით მოამაყე პერსონა **სალომე ზურაბიშვილი**;



**ატაშოლა** – ქართველი ხალხის ღვინოსა და ბორჯომში ჩამფსმელი, მამაშას ბინძურად მაგინებელი და მერე მისი მაქებარი, ფორთოხალას მადიდებელი და მისი ყველა ბინძური დავალების უსიტყვო შემსრულებელი, ქართული რადიკალური ოპოზიციის გარედან მართვის მოწადინე, აღქმებით აზროვნების ფილოსოფიური თეორიის ფუძემდებელი, უპრინციპობისა და ნამუსგარეცხილობის ეტალონი; მარადიული ნაცი, ნიკა მელიასთან ერთად პოლიტიკური პარტია „ახალის“ დამფუძნებელი **ნიკა გვარამია**;

**მორიგი საპარლამენტო არჩევნების წინ და არჩევნების დამთავრებიდან თითქმის ორი საათის განმავლობაში, „ქართულ ოცნებასა“ და რადიკალურ ოპოზიციას შორის დაპირისპირებაზე, მით უფრო, არჩევნების შედეგების მასობრივ გაყალბებასა და გადატრიალებისკენ მოწოდებებზე თითქოს არაფერი მოასწავებდა. გამარჯვებას ზეიმობდა ორივე მხარე: მმართველი პარტია ცესკოს წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, ოპოზიცია – საკუთარი ტელევიზიების (მთავარი, ფორმულა) მითიურ გამოკითხვებზე დაყრდნობით.**

მეტიც, თუ ნაცოპოზიციის მიერ არჩევნების მასობრივი გაყალბების თაობაზე ჯერ კიდევ 2012 წელს წამოწყებულ და მას შემდეგ უსასრულოდ გამეორებულ კამპანიას არ გავითვალისწინებთ, მოსალოდნელ გაყალბებაზე საუბრები არ ყოფილა. პირიქით, ოპოზიციის თითქმის ყველა ლიდერი კმაყოფილებას გამოთქვამდა ახალი ელექტრონული ხმის დამთვლელი სისტემის დანერგვაზე. აღიარებდა, რომ ამ სისტემის გამოყენებით ამომრჩეველთა ხმების გაყალბება, ფაქტობრივად, გამორიცხული იყო. ამის გამო დასავლეთელი მეგობრებისთვის კეთილ სიტყვებსაც არ იშურებდნენ.

რაც მთავარია, ყველა ერთხმად ღაღადებდა, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო „ოცნების“ უკანასკნელი და ყოვლად უიმედო გაფართხალება ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ისმოდა ნაირ-ნაირი დაპირებები ოპოზიციის ხელისუფლებაში კიდევ ერთხელ და სამარადჟამოდ აღზევების შემდეგ საქართველოსა და მისი ხალხის არნახულ კეთილდღეობაზე: ევროპაში შეგრიალება, 14 თუ 254 მილიარდი დოლარის „დათრევა“, ხელფასებისა და პენსიების ფანტასტიკური ზრდა, ხალხისთვის თვით მთა-ველების, ტყეებისა და მდინარეების ჩამორიგება... აღარაფერს ვიტყვი ნაცების მხრიდან ოპონენტი მმართველი პარტიისა და მისი არაფორმალური მმართველის ბიძინა ივანიშვილის ყოვლად უცენზურო ლანძღვა-ქილიკზე.

მართალია, „ოცნების“ დაპირებები შედარებით მოკრძალებული, მაგრამ რეალობის შესატყვისი იყო – ევროპაში ღირსეულად შესვლა, ადათ-წესების შენარჩუნება, ეკონომიკის ზრდაზე ზრუნვა, გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვა, მსოფლიოს ყველა დიდ-პატარა ქვეყანასთან ღირსეული, თანასწორი, საქართველოსთვის მომგებიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება, ოკუპირებული ტერიტორიების უომრად დაბრუნების მცდელობა, მრავალ დანაშაულში საფუძვლიანად ეჭვმიტანილი ნაცსექტისა და მისი ლიდერების გასამართლება...

და ყველაფერი ეს იმ შემთხვევაში, თუ „ოცნება“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას, ანუ ასზე მეტი დეპუტატის მანდატს მოიპოვებდა.

**ყველაფერი მყისიერად და რადიკალურად მას შემდეგ შეიცვალა, რაც ცნობილი გახდა არჩევნების ოფიციალური შედეგები: „ქართული ოცნება“ – 89 დეპუტატი, ოპოზიციური პარტიები ჯამურად – 61 დეპუტატი** („კოალიცია ცვლილებისთვის“ – 18 მანდატი, „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა“ – 17 მანდატი, „ძლიერი საქართველო“ – 14 მანდატი, „გახარია საქართველოსთვის“ – 12 მანდატი).

მოკლედ, როგორც მოსალოდნელი იყო, რადიკალური ოპოზიციის იმედები ვერ გამართლდა. შესაბამისად, მყისიერად და რადიკალურად შეიცვალა მისი რიტორიკა – ხელისუფლებამ თავხედურად გააყალბა არჩევნები და ეს გააკეთა... ახალი ელექტრონული აპარატურის წინასწარ დაპროგრამების საშუალებით!

ერთი შეხედვით, თითქოს გასაკვირია, რომ პატივცემულ ოპოზიციურ ლიდერებს, ჯერჯერობით მაინც, არ მოუშველებიათ გაყალბების დამამტკიცებელი არავითარი არგუმენტი, არავითარი! ლოგიკა უმარტივესია - არჩევნები გაყალბდა და მორჩა, ამას არავითარი მტკიცებულება არ სჭირდება!

შეგახსენებთ, რომ ცესკოს მონაცემებით (და ამას ადგილობრივი და უცხოელი დამკვირვებლების მთელი არმიაც ეთანხმება), მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დარღვევა მხოლოდ სამ საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა. აქედან ერთი უბნის მონაცემები, საერთოდ, გაუქმებულია. ორ უბანზე მოხდა ხმების ხელახალი გადათვლა. რაც მთავარია, სამივე სადავო უბანზე არჩევნების მიმდინარეობა

**...სავსებით შესაძლებელია, აწ უკვე „მამაშად“ ქცეულმა დედა-სალომემ დარჩენილი ცხოვრება, თუ ორთაჭალის ციხეში არა, კოლეგა ფორთოხალასთან ერთად „ვივამედში“ მაინც გაატაროს!**

შეაფერხა და დარღვევების პროვოცირება მოაწყო ნაცაქტივმა. ინციდენტების დროს სამივე ამ უბანზე იმყოფებოდა ნაცმედიის ტელევიზიები! ანუ რჩება სრული შთაბეჭდილება, რომ ინციდენტები ნაცმოძრაობის მიერ იყო პროვოცირებული. ყოველ შემთხვევაში, გამოძიება სიმართლეს უახლოეს მომავალში დაადგენს.

**გაყალბების თეორიას მყისიერად გამოეხმაურა ნაცების მარადიული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი – არავითარი გადათვლა, არავითარი დათმობა, ყველანი ქუჩაში! წინ, სახელმწიფო გადატრიალებისაკენ! შეტევა! შეტევა! შეტევა! არანაკლებ კატეგორიული გახლდათ ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტ-კარიკატურა სალომე ზურაბიშვილი: „არჩევნების შედეგები ეწინააღმდეგება ყველა გამოკითხვის ტენდენციას, რაც ამ ქვეყანაში ჩატარდა, განსაკუთრებით „რუსული კანონისა“ და ქუჩებში პროტესტის შემდეგ და, რომელიც აჩვენებს, რომ ხალხს სურს შეინარჩუნოს თავისი ევროპული გზა. ეს არის არჩევნები, რომელიც მოპარულია და ვფიქრობ, რომ ქართველი ხალხი ქუჩაში დაადასტურებს ამ შეფასებას“.**

**მეტიც, საქართველოს პრეზიდენტმა (ვიმეორებ, საქართველოს პრეზიდენტმა!) მაშინვე ორბელიანების სასახლეში მიიწვია რადიკალური ოპოზიცია, ეთათბირა მათ და მერე მისივე მოწოდებით რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მოპროტესტეების წინაშე წარსდგა.**

**გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ: საქართველოს პრეზიდენტი არჩევნების არაღიარებისკენ და სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას, რომელმაც რამდენიმე საათის წინ ხმა მისცა მისთვის სასურველ პოლიტიკურ ძალას!**

**მინდოდა, ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტებისთვის, მათი მომხრეებისთვის შემეხსენებინა, რომ არჩევნების შედეგების არცნობა ან არცნობისკენ წაქეზება, ნიშნავს კონსტიტუციის ფარგლებიდან გასვლას და სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდებას. და თუ ასეთი რამ მოხდება, შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან, დაუყოვნებლივ მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები.**

...ეს ნიშნავს, რომ სავსებით შესაძლებელია, აწ უკვე „მამაშად“ ქცეულმა დედა-სალომემ დარჩენილი ცხოვრება, თუ ორთაჭალის ციხეში არა, კოლეგა ფორთოხალასთან ერთად „ვივამედში“ მაინც გაატაროს (მართალია, ჯანმრთელად გამოიყურება, მაგრამ მისი ნიჭიერებიდან გამომდინარე, რაიმე დაავადების გამოგონება მასაც არ გაუჭირდება).

**არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია უკვე ასპროცენტიანი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ ნაცების პოლიტიკაში ყოფნა სამუდამოდ დასრულდა. ამის აშკარა დადასტურებაა ჩვენი ევროპელ-ამერიკელი „მაყურებლების“ უკიდურესი გაღიზიანება მორჩილი ნაცმოძრაობის წარუმატებლობის გამო. ამის დასტურად ორიოდე მაგალითს მოვიშველიებ.**

ევროკავშირის მინისტრების ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი გმობენ თავისუფალ და სამართლიან არჩევნებთან დაკავშირებულ საერთაშორისო ნორმების ყველა დარღვევას. ღრმა შეშფოთებას გამოხატავენ საქართველოში არსებული ვითარების გამო და მოითხოვენ დარღვევებთან დაკავშირებული საჩივრების მიუკერძოებელ გამოძიებას. აცხადებენ, რომ იზიარებენ დამკვირვებლების შეშფოთებას. მათი აზრით, მნიშვნელოვანია, პროტესტი და, განსაკუთრებით, ხელისუფლების რეაქცია მასზე მშვიდობიანი დარჩეს. ხაზს უსვამენ, რომ „არჩევნების მთლიანობის დარღვევა შეუთავსებელია ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტანდარტებთან“. რომ ეს არის „ქართველი ხალხის კანონიერი ევროპული სწრაფვის ღალატი“. მინისტრებს არ დავიწყნიათ ისიც ეთქვათ, რომ „უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ორბანის ვიზიტი საქართველოში ნაადრევია, იგი არ საუბრობს ევროკავშირის სახელით“.

ვფიქრობ, საინტერესოა შვედეთის საერთაშორისო განვითარების, თანამშრომლობისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრის ბენჟამინ დოუსას განცხადება: „საქართველოში განვითარებული მოვლენები დიდი ხანია, საგანგაშოა. საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ შაბათს გამართულ საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირებული დარღვევები ამას ადასტურებს. მცდელობები, ხელი შეეშალოს ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებას თავისი დემოკრატიული როლის შესრულებაში, ეწინააღმდეგება ევროკავშირის ნორმებსა და ღირებულებებს. აქედან გამომდინარე, მთავრობა აჩერებს შვედეთ-საქართველოს მთავრობის პირდაპირ თანამშრომლობას, საქართველოს საგადასახადო ორგანოსთან“...

ბარემ აშშ-ის ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარის ჯო უილსონის განცხადებაც ვნახოთ: „ქართული ოცნება“ ძალაუფლების ავტორიტარული მეთოდებით ხელში ჩაგდებას ცდილობს, რასაც შესაბამისი შეფასება უნდა მოჰყვეს. სამარცხვინოა, რომ ბაიდენ-ჰარისის ადმინისტრაცია ახდენს ლეგიტიმაციას „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისა, რომელიც თავისუფლების მოყვარე ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმის დამყარებას ცდილობს“.

ეს მიუთითებს, რომ ქართული რადიკალური ოპოზიცია მოქმედებდა არა საკუთარი, არამედ მაყურებელ-მაკონტროლებელი ქვეყნების კარნახით და მათი ინტერესებიდან გამომდინარე. წლევანდელმა არჩევნებმა აშკარად გამოაჩინა, რომ უცხოეთიდან კარნახის ეპოქა დამთავრდა და საქართველო გადაწყვეტილების დამოუკიდებლად

**ეს მიუთითებს, რომ ქართული რადიკალური ოპოზიცია მოქმედებდა არა საკუთარი, არამედ მაყურებელ-მაკონტროლებელი ქვეყნების კარნახით და მათი ინტერესებიდან გამომდინარე. წლევანდელმა არჩევნებმა აშკარად გამოაჩინა, რომ უცხოეთიდან კარნახის ეპოქა დამთავრდა და საქართველო გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიმღებ ქვეყნად ჩამოყალიბდა.**

სჯანი... პამფლეტი

## მოქმედი პირნი და შემსრულებლები:



**აზიუნიკი** – ყველაზე და ყველაფერზე განაწყენებული, იმედგაცრუებული პერსონა, ვინც ივანიშვილისგან მხარდაჭერის სანაცვლოდ მილიონებს ელოდა; ყველაფრის ექსპერტი კოლექტიური **გია ხუხაშვილი;**



**ლიდერი** – ოდესღაც მმართველი და აწ უკვე მარადიული წარუმატებლობისთვის განწირული დანაშაულებრივი პოლიტიკური პარტიის ფორმალური წინამძღოლი, ფორთოხალას ბრძანება-მითითებების უსიტყვო შემსრულებელი, ზეაქტიური პოლიტიკური ფიგურა **თინა ბოკუჩავა;**



**კუში** – ფულის გულისთვის ყველაფერზე წამსვლელი, ყველა სიბინძურის მკადრებელი; ყოფილი ბიზნესმენი, ქართველი ხალხის თავხედური ძარცვით გამდიდრებული და თავის გადასარჩენად გაპოლიტიკოსებული პერსონა **მამუკა ხაზარაძე;**



**ფანი** – ახალგაზდობის, გამოუცდელობის, გაუნათლებლობის ან საკუთარი არასრულფასოვნების შეგრძნების გამო ფორთოხალას მოთაყვანედ ჩამოყალიბებული უსახელო ადამიანი **კოლექტიური სოფო;**



**ქაჯი** – პოლიტიკას მიტმასნილი, მხოლოდ საკუთარ კარიერაზე მზრუნველი და მეოცნებე, თავისი მიზნის მისაღწევად ყველას და ყველაფრის გასაწირად მუდამ მზად მყოფი, პათოლოგიური გაიძვერა; პოლიტიკური პარტიის „სტრატეგია აღმაშენებელი“ დამფუძნებელი და ლიდერი **გიორგი ვაშაძე;**



**ქინძი** – პოლიტიკურ კარიერაზე ამაოდ მეოცნებე უვიცი, ვინც დარწმუნებულია, რომ საპარლამენტო არჩევნებში რადიკალური ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, განაღდებული აქვს მაღალი პოლიტიკური თანამდებობა **ლევან ხაბეიშვილი.**

მიმღებ ქვეყნად ჩამოყალიბდა.

ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ ნაცმოძრაობა, მისი მომხრე თუ მხარდამჭერი ძალები მეთვალყურისთვის არავითარ ფასეულობას აღარ წარმოადგენს. შესაბამისად, მათი უცხოეთიდან დაფინანსების პერსპექტივაც განულებულია. მამუშების, აზიუნიკების, ფორთოხლების, კუშების, ქინძების, ლიდერების, ფანების, ქაჯების თუ მამაცა ელისაშვილის ეპოქა დამთავრებულია!!!



**თეიმურაზ ქორიძე**

## ქალბატონმა დედაბერმა აქცია დააანონსა...

# არჩევნების შედეგებს აპროტესტებს!



**„ქართული ოცნება“ მობეზრდა ხალხს და ახალი სახეების დროა ქართულ პოლიტიკაშიო – არაერთხელ დაგვამადლეს ეროვნული ხელისუფლება კუბილიუსისა და ფოტიგას ხელისბიჭებმა და გოგოებმა და თუკი ვინმე მართლა ყელში ჰყავდა ქართველ ხალხს ამოსული, პოლიტიკურ სცენაზე შემოყარეს.**

ყველამ, თუ ვინმე მიშას დაეკარგა, ქართულ პოლიტიკაში ჰპოვა საკუთარი „კვადრატი“.

ოღონდ ერთია: რაღაც აკლიათ.

არა, ბევრი აკლიათ, მაგრამ ერთი რამ, მთავარი აკლიათ – ბელადის სახელი დავიწყებას მისცეს.

მადლი კი იქნება, ახლა ციხეში რომ გადაიყვანონ წითლიძისა და ბოკუჩავას ფავორიტი და გორში მიწის ცხვირით მთხრელი მთავარსარდალი.

დროა უკვე.

დაგვიანდა კიდეც.

თან, აქციებსაც იწყებენ და იქნებ ვინმეს აქციებზე მაინც გაახსენდეს ის უბედური და ტრანსპარანტზე მაინც მიაწერონ მისი სახელი – „ფრი, მიშა“, „მიშა მაგარია!“ და მსგავსი სისულელეები...

დედაგიულიც გაახსენდება ქართველ საზოგადოებას...

აზრს ჰკითხავენ, ეთერს დაუთმობენ, თავს შეახსენებინებენ...

მერე, იქნებ, მისტერ ტიმურ ალასანიაც გაახსენდეთ.

ბოლო-ბოლო, გუბაზ ლევანიჩი „გეგმა ბ“-ს მოიფიქრებს გადატრიალებისა და რევოლუციის სახელით და სიმაღლის მიხედვით ჩადგებიან რიგში ტექნიკური მთავრობის სავარაუდო მინისტრები.

მერე, რაც მარგველაშვილმა ვერ შეძლო, იქნებ სალომემ შეძლოს და თუ ვინმეს რამეში ჭირდება, ერთი ამნისტიაც გამოაცხოს დორბლიანის სახელზე...

თუ არადა, დღეს ტაშს რომ უკრავდა, ის გვარამია ისევ „რეზიდენტ •••ქალას“ დაუძახებს და ისევ ერთსა და იმავე წრეზე გავაგრძელებთ ტრიალს.

არადა, ამ დღეების განმავლობაში გუბაზიც მომაკლდა თვალში და გიგიც.

ამ საარჩევნოდ, აღარ გადმოუკარკლავს თვალები უგულავას არც ერთი ჟურნალისტისთვის და ვერ ვინელებ...

ბოკერიასთვისაც არავის უკითხავს აზრი – გოგორიშვილის დროს უფრო ყალბდებოდა არჩევნები, ლევან რამიშვილის სცენარი უფრო ჯობდა თუ რამე ახალი მეთოდი აქვს მოფიქრებული...

არადა, რაღაც ახალი გვინდა.

ადრენალინი უნდა საზოგადოებას.

მარტო ელისაშვილის მალაყები აღარ გვყოფნის.

ახლა ერთი ზურაბიშვილის მიერ ნათქვამი „ქადჟები მიდიან“ და გივია თარგამაძის მიერ ძლივს ამოლუღლუღებული „სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებო“ თუ გამოაცოცხლებს დემოკრატიისთვის „დამაშვრალ“ ოპოზიციას.

აბა, ისე, ძალიან მდორედ მიერეკებიან.

აღარც გირჩი-ზურაბა იხდის შარვალს და აღარც სოფო ჯაფარიძე აცლის კბილებს მოხუცებს...

მარგველაშვილიც დუმს.

„დუმდა მარგველა და დუმდა ხალხი“...

თან, რა მუხტის მიმცემია...

იმედია, მივა აქციაზე და თავისებურად, ლოთიანად და ხოშიანად დაჰგვრის ჟრუანტელს ჯენზის...

ეეჰჰჰ...

ათეული წლებია, ერთსა და იმავე კინოს ვუყურებთ.

ქვეყნის ჩამოშლის მსურველები და მართლა რეზიდენტ-აგენტები არც ადრე აკლდა ჩვენს ქვეყანას და საუბედუროდ, არც მომავალში განვიცდით მათ ნაკლებობას.

აფსუს.

მაია ნადირაძე და თეა თუთბერიძე აკლიათ სიებში და სცენაზე.

არადა, „დააკვდებოდათ“!

ხვალ კუდიანმა აქცია დააანონსა.

შვიდ საათზე ერი და ბერი იკრიბება ჩელიაბინსკიდან ამოსული მზის ტრაექტორიის შესაცვლელად.



ერის მამები იკრიბებიან ახალი მალაყების გასაკეთებლად.

მთავარია, ალეკოს დოლი არ დაავიწყდეს.

„სარკოფაგიდან დგება მუმია. რა სიჩუმეა.“

**გიორგი მამაცაშვილი**

27.X.2024 წ.

## ვიქტორ ორბანი:

# საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი

**თქვენ აუცილებლად გახდებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, – ამის შესახებ ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

ჟურნალისტის კითხვაზე, გახდება თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი სახელმწიფო იმ განცხადებების ფონზე, რაც ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს ლიდერისგან ისმის, ვიქტორ ორბანმა უპასუხა: „ნუ იქნებით ასეთი დარწმუნებული, ზოგიერთი ქვეყანა ასე ამბობს, მაგრამ თქვენ აუცილებლად გახდებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფო“.

არავის უნდა თავისი საკუთარი ქვეყნის დანგრევა და უაზრო ომში ჩართვა, ამიტომ გვესმის გადაწყვეტილება, რომელიც ქართველმა ხალხმა მიიღო და არჩევანი გააკეთა მშვიდობის სასარგებლოდ – ვიქტორ ორბანი



უნგრეთი არის მშვიდობის მოყვარე ქვეყანა ევროპაში და ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს მცდელობებს, რადგან თქვენც მშვიდობის მხარეს ხართ, – განაცხადა ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან ერთად გამართულ ბრიფინგზე.

# ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი პრინციპული და სამართლიანი ლიდერია!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის, უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს შეხვდა.**

პირისპირ შეხვედრაზე საქართველოსა და უნგრეთს შორის ორმხრივი ურთიერთობები და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ხაზი გაესვა პრემიერ-მინისტრ ორბანის ვიზიტის მნიშვნელობას უნგრეთის ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში. აღინიშნა, რომ ეს ადასტურებს საქართველოს პრიორიტეტებისადმი უნგრეთის მხარდაჭერას. პრემიერმა აღნიშნა, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ირაკლი კობახიძემ ვიქტორ ორბანს მადლობა გადაუხადა ევროინტეგრაციის გზაზე მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ უნგრეთმა განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესში.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა. განიხილეს სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის კონკრეტული ინიციატივები, მათ შორის, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შემდგომი გაფართოების საკითხები. ხაზი გაესვა უნგრეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად განვითარების მნიშვნელობას. ამ მიმართულებით აღინიშნა საინვესტიციო სფეროში საქართველოსა და უნგრეთს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მნიშვნელობა.

ისაუბრეს ტურიზმის სფეროში თანამშრომლობაზე და ამ მიმართულებით არსებულ პოზიტიურ დინამიკაზე. საუბარი შეეხო საქართველოსა და უნგრეთის მიერ განხორციელებულ ერთობლივ პროექტებს. ხაზი გაესვა შავი ზღვის კაბელის პროექტის მნიშვნელობას და აღინიშნა, რომ მსგავსი პროექტების განხორციელებას მომავალშიც დიდი ყურადღება დაეთმობა.



# 54% ხელისუფლების მყარი რესურსია!

## „მცირე ჯგუფით შეგიძლია ხელისუფლება გადააგდო და ხალხი თუ დაგინახავს, რომ გამარჯვებულის გვირგვინი გადგას თავზე, „დიდება მეფესო“, დაიძახებს“

**„არჩევნებში გამოხატული მხარდაჭერის 54% ჩვენი ხელისუფლების რესურსია. მსოფლიო პოლიტიკურ პრაქტიკაში ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია იმისთვის, რომ ხელისუფლებამ მყარად იგრძნოს თავი“, – აცხადებს ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე for.ge-სთან საუბარში.**

✦ ✦ ✦

**– ოპოზიციას სურდა, წარმოეჩინა, თითქოს 26 ოქტომბრის არჩევნები ეგზისტენციალური იყო იმ თვალსაზრისით, რომ არჩევანი რუსეთსა და დასავლეთს შორის უნდა გაკეთებულიყო. არჩევნები მართლაც ეგზისტენციალური გამოდგა – ხალხმა თვითგადარჩენა არჩია, უარი უთხრა მწამებელ ნაცებს და „ქართული ოცნების“ უპირობო ლიდერობა გამოკვეთა. „ოცნებამ“ უკვე მეოთხედ აიღო სახელისუფლებო მანდატი. ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს იყო ქართველი ხალხის უალტერნატივო არჩევანი მშვიდობის სასარგებლოდ. ოპოზიცია კვლავინდებურად ჭირვეულობს, არ აპირებს შესვლას პარლამენტში და ქუჩაში აპირებს პროცესების გადატანას. თქვენ ერთხელ აღნიშნეთ, თუ დასავლეთი არ აღიარებს ამ არჩევნებს და ქართველი ხალხის ნების გამოხატვას, მაშინ ის საქართველოს დაკარგავს. როგორ გგონიათ, გარისკავს დასავლეთი ამ გზით წასვლას, რომ საქართველო დაკარგოს მცირერიცხოვანი ოპოზიციური ჯგუფების სასარგებლოდ? მით უმეტეს, რომ „ქართული ოცნება“ ამ ბრძოლაში მარტო არ არის, საკუთარ მხარდამჭერებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ ბრძოლაში „ოცნების“ მხარეს დგას ყველაზე ძლიერი ძალა საქართველოში – ეკლესია. უღირს კი დასავლეთს ყველაზე დიდი ინსტიტუციების გადაკიდება საქართველოში?**

– უღირს თუ არა დასავლეთს, მცირერიცხოვანი ოპოზიცია მოიყვანოს ხელისუფლებაში?! ჩემი აზრით, უღირს, რადგან თუკი მოიყვანა ხელისუფლებაში მცირერიცხოვანი ძალა, ის ყოველთვის მისი მადლიერი დარჩება. ასე მოხდა 2003 წელსაც, როცა დასავლეთმა სააკაშვილის ჯგუფი მოიყვანა ხელისუფლებაში და შემდეგ მთელი 9 წლიწადის განმავლობაში სააკაშვილი მათ უწევდა ანგარიშს. ასევე, სააკაშვილი კიდევ ერთ ქვეყანას უწევდა ანგარიშს, რომელიც მას დაეხმარა ხელისუფლებაში მოსვლაში – რუსეთს. ასე რომ, დასავლეთში კარგად იციან, პატარა ჯგუფი თუ მოიყვანეს ხელისუფლებაში, ის უფრო მორჩილი იქნება, ვიდრე დიდი ჯგუფი.

„ქართულ ოცნებას“ რომ ხელი დაავლოს დასავლეთმა, „ოცნება“ ყოველთვის იტყვის, მე ხალხმა ამირჩია და დასავლეთის დასმული არ ვარ, ხოლო პატარა ჯგუფი ყოველთვის იტყვის, მე დასავლეთმა დამსვა და ამიტომ დასავლეთის ნებისმიერ დავალებას შევასრულებ. ამიტომ დასავლეთის გადმოსახედიდან, აშკარაა, რომელი ჯობია, პატარა ჯგუფის მოყვანა ხელისუფლებაში, თუ დიდი ჯგუფის?!

***– თუკი ამ ვერსიას განვიხილავთ, დასავლეთს ყოველთვის უღირდა ქართველი ხალხის არჩევანის უპატივცემულობა და მარგინალური ჯგუფების გაყვანა ხელისუფლებაში?***

– განა ქართველი ხალხისგან დაშორება 2003-ში არ უღირდა დასავლეთს?! ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ დავუშვათ, დასავლეთმა ხელისუფლებაში მოიყვანა ნაციონალური მოძრაობა, მერე ნაციონალურ მოძრაობას, 2003 წლის მსგავსად, ჩაატარებინებს არჩევნებს და არჩევნების ფონზე ხალხი ისევ ნაცმოძრაობას მისცემს ხმას, რადგან ვინც რევოლუციაში იმარჯვებს, ხალხი მას აძლევს ხოლმე ხმას. ხალხის მხარდაჭერის მოპოვება ძალიან იოლი საქმეა პატარა ჯგუფისთვისაც კი. ჩვენ ხალხი უფრო სერიოზულ და მონოლითურ ძალად მიგვაჩნია, ვიდრე ის რეალურად არის. სინამდვილეში, ხალხი ეს არის განწყობილებებით მოქმედი სუბიექტი და ამ განწყობილებებით მანიპულაცია ვინც იცის, ის ხალხსაც ისე ათამაშებს, როგორც უნდა. ხალხის თამაშის შედეგად მოეწყო რევოლუციები საქართველოში, უკრაინაში, არაბეთის ქვეყნებში და ასე შემდეგ.

***– სანამ ოპოზიცია ქუჩაში გასვლაზე ალაპარაკდებოდა, მანამ მათ უკვე შემოუძახა უკრაინაში მებრძოლმა ვანო ნადირაძემ და პირდაპირი გზებმა დაუსახა – რევოლუციაა საჭირო, ან საყოველთაო დაუმორჩილებლობა. ნადირაძემ ოპოზიციას სტრატეგია დაუწუნა, რომ არც ერთმა მათგანმა თავიდან არ ახსენა ქუჩა და ბრძოლა. ამჯერად მაინც რა შანსი ექნებათ პროტესტანტებს? თუკი გავითვალისწინებთ, რომ, წესით, რევოლუციას ხალხი უნდა ახდენდეს, წარმატებული იქნება რევოლუცია ხალხის გარეშე, მასობრიობის გარეშე?***

– მასობრიობა არც სააკაშვილის დროს არ ჰქონდა მაშინდელ საპროტესტო გამოსვლებს, როცა 30 000 ადამიანი იყო სააკაშვილის მომხრე, რევოლუციებს მასობრიობა არ სჭირდება. რევოლუცია-რევოლუციაო, იძახიან, რადგან მცირე ჯგუფით შეგიძლია ხელისუფლება გადააგდო და ხალხი თუ დაგინახავს, რომ გამარჯვებულის გვირგვინი გადგას თავზე, „დიდება მეფესო“, დაიძახებს. უკრაინაში მებრძოლი ქართული ჯგუფები, რომლებიც ნაცმოძრაობის პოლიტიკას იზიარებენ, ვარაუდობენ, რომ იარაღით შემოვიდნენ საქართველოში და იარაღითვე მოახდინონ რევოლუცია. ეს არ არის ქუჩის აქციები ხავერდოვანი რევოლუციების გაგებით, სადაც იარაღი არ არის და მხოლოდ ხალხის დიდი რაოდენობით ზეწოლას ახდენ პოლიტიკურ პროცესებზე. უკრაინაში მებრძოლი ქართველები ზუსტად იარაღს გულისხმობენ, რადგან თვითონ უკვე იარაღთან შეზრდილები არიან და მიაჩნიათ, რომ იარაღით გადაწყვეტილი გზა სწორი გზაა. ზოგადად, ომმა ასეთი ცნობიერება ჩამოუყალიბა უკრაინაში მცხოვრებ ადამიანებს. ეს იგივეა, როგორც კომუნისტები იარაღით ტერორს ამყარებდნენ და მიაჩნდათ, რომ სწორი იყვნენ.

***– ოპოზიცია ამბობს, თითქოს ზეწოლის კლიმატი იგრძნობოდა ამ არჩევნებზე და ზეწოლა განხორციელდა საჯარო მოხელეებზე, ახალი ტერმინიც მოიგონეს – პოლიტიკური ტრეფიკინგი. რამდენად ლოგიკურად გადანაწილდა ხმები არჩევნებზე?***

– ქალაქში ვტრიალებთ ყველანი და მნიშვნელოვან მოვლენას ყოველთვის ჭორები ახლავს თან. ამ დღეებში ქუჩაში არ მინახავს და არც ჩემს მეგობრებში ყოფილა ასეთი შემთხვევა, რომ ადამიანები აღშფოთებულიყვნენ, რა საშინელებები ხდებოდა ამ არჩევნებზეო. სამაგიეროდ, ადრე იყო ასეთი ფაქტები და აღშფოთებაც იყო. ახლა კი ყველა წყნარად მიდიოდა არჩევნებზე, ხმას მისცემდა და მერე თავ-თავიანთ საქმეებზე მიეშურებოდა. არ ყოფილა ასეთი წუხილი ქალაქში, რომ როგორ მოგვაწვნენ და მიგვაცემინეს ხმა. არსად არ ყოფილა ასეთი განწყობა. რეგიონში ჩასული იყო ჩემი ნაცნობი და შემატყობინა, „ქართული ოცნება“ დადის და მუშაობს ხალხთან, ოპოზიცია კი საერთოდ არ ჩანსო. ეს არის ზუსტად შედეგი. მით უმეტეს, რომ „ქართული ოცნება“ რაზეც იყო ფოკუსირებული – არა ომი, არა ლგბტ პროპაგანდა, არა საქართველოს სუვერენიტეტის შელახვა, ამ ყველაფერს ჩვენი მოსახლეობა ეთანხმება და დასავლეთისგან მოითხოვს, გვეცით პატივი ისეთებს, როგორებიც ვართ. ამ ყველაფერმა შეკრა პოზიტიური დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ. ოპოზიციის მხრიდან კი ამის საპირწონე იყო „მივდივართ ევროპისკენ, არ გვინდა რუსეთი“. ამ დროს ხალხში სულაც არ იგრძნობა, რომ რუსეთისკენ მივდივართ. ამიტომ ეჭვი ჩნდება, რომ ეს ტყუილი ბრალდებაა. არც ის იგრძნობა, რომ ევროპისკენ სიარული თურმე არის ის, რასაც ჩვენი ოპოზიცია გვთავაზობს. ეს ოპოზიცია არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ სახელმწიფო მას ანდო. არჩევნები ხომ ის პროცედურაა, რომლითაც ხალხი ქვეყნის მართვის საჭეს გადასცემს ვიღაცას.




***– ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ოპოზიცია დასავლეთიდან ნიშანს ელოდა, რადგან არჩევნების პირველადი შედეგების გამოცხადების შემდეგ კარგა ხანს გაჩუმებულნი იყვნენ, არც ქუჩაში გასვლაზე ლაპარაკობდნენ. ესეც ხომ ადასტურებს, რომ საქართველოში ვითარების წარმმართველი დასავლეთიდან წამოსული რეაქციებია, რასაც შემდეგ ეს ოპოზიციაც აყვება იმის მიხედვით, დასავლეთი რა მესიჯებს გამოუგზავნის მათ.***

– რა თქმა უნდა, ეს ასეა. დასავლეთის იმედი აქვს ჩვენს ოპოზიციას და დასავლეთზე მუშაობს, რადგან თუკი საქართველოში ისეთი მდგომარეობა გაქვს, რომ რევოლუციის გარდა სხვა ვერაფრით ვერ მოდიხარ ხელისუფლებაში, მაშინ ვიღაც მხარდამჭერს ეძებ და ეს ვიღაცები უცხოელები არიან. გავიხსენოთ ევროპარლამენტის რეზოლუციები, ერთიმეორეზე უფრო კრიტიკული ხელისუფლების მიმართ და ხელსაყრელი ოპოზიციისთვის. რამდენად სწორია და რამდენად გავლენისგან თავისუფლები არიან ევროპელები, ეს კიდევ ცალკე საკითხია. ფაქტია, დასავლეთში ეს იდეა, რომ საქართველოში კრებსითი სააკაშვილი მოვიდეს და ეს ხელისუფლება წავიდეს, უფრო მიღებულია.

***– ამდენწლიანი მარცხის შემდეგ წესიერი ოპოზიცია წავიდოდა პოლიტიკიდან და გადაათვასებდა ამდენ არჩევნებში მარცხს, მაგრამ ამ მხრივ გამონაკლისი არიან ნაცები, მათ არ შეუძლიათ გადააფასონ წარსული. რა გზას დაადგებიან ნაცები?***

– მაპატიეთ, მაგრამ ნაცებში რამდენი არის ისეთი, რომ წავიდეს პარლამენტიდან, თავისი პროფილით სამუშაოს ან რაიმე მყარ ადგილს იპოვის?! ისინი პოლიტიკით პურს ჭამენ, თანაც პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან 1%-იც რომ აიღოს პარტიამ, კანონი ავალდებულებს, რომ იმ 1%-იან პარტიას დაეხმარონ ბიუჯეტიდან. თავის დროზე დასავლეთმა „შემოგვტენა“ ასეთი კანონმდებლობა და დაგვავალა, დემოკრატია რომ იყოს, პარტიები შეინახეთო. ამას დათანხმდა ხელისუფლება და ახლა პარტიებს ინახავენ, ოღონდ ვიღებთ ისეთ სურათს, რომ პარტიებს ამ ფულის მიღება უნდათ და სულ ფეხზე ჰკიდიათ, ქვეყნის სათავეში მოვლენ თუ არა. ამ კანონს რომ ხელი ვახლოთ, ერთი ამბავი ატყდება.

***– ოპოზიციამ მუქარად აღიქვა ირაკლი კობახიძის სიტყვები, „ვინმე თუ დაუპირისპირდება 1 120 000 ადამიანის ნებას, საკადრის პასუხს მიიღებს“. აქვს ამ ხელისუფლებას საამისო რესურსი, რომ მუქარაზე გადავიდეს ოპოზიციის მისამართით? თუკი გავითვალისწინებთ, რომ დასავლეთი დგას ოპოზიციის უკან, გამოდის, რომ ხელისუფლება აფრთხილებს დასავლეთს?***

– არჩევნებში გამოხატული მხარდაჭერის 54% ხელისუფლების რესურსია, აბა, რა არის?! მსოფლიო პოლიტიკურ პრაქტიკაში ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია იმისთვის, რომ ხელისუფლებამ მყარად იგრძნოს თავი.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

## იაგო ხვიჩიამ ყველას აჯობა და სიმართლე თქვა!



**იაგო ხვიჩია: დიახ, ოპოზიციამ ეგზიტპოლები გააყალბა, ხალხი აზეიმეს და აღმოჩნდა, რომ „ქართული ოცნება“ 54 პროცენტით ზის პარლამენტში...**

– ჩემი აზრით, საპარლამენტო არჩევნები არ გაყალბებულა ან, ყოველ შემთხვევაში, ისე გაყალბდა, როგორც აქამდე ყალბდებოდა ამ ქვეყანაში. ქართველი ხალხი პროპაგანდას აჰყვა და ისევ „ნაცურ-ქოცურ“ ჩხუბს დაუჭირა მხარი. მგონი, აწი გამოფხიზლების პროცესი დაიწყება, რადგან აქციებზე ხალხის დაშლა დაიწყება. „ქართული ოცნება“ რაღაცნაირად ეცდება, ეს ემოციები ჩააცხროს, ოპოზიციური ამომრჩეველი დამარცხებას შეაგუოს და ამაში მათ ოპოზიციაც დაეხმარება. როგორც იცით, ოპოზიციამ ეგზიტპოლები გააყალბა და ხალხს არასწორი მოლოდინი შეუქმნა. მათ ხალხი აზეიმეს და უცებ აღმოჩნდა, რომ მათი ეგზიტპოლები გაყალბებულია და „ქართული ოცნება“ პარლამენტში 54 პროცენტით ზის. ასეთ შემთხვევაში, რაღაც ხომ უნდა ქნან? მოვიტყუეთო, ვერ იტყვიან და ამიტომ ამბობენ, „ქოცებმა“ არჩევნები გააყალბესო. ცოტა ხანი ხალხს ქუჩაში აბოდიალებენ, შემდეგ პარლამენტში შევლენ და იქიდან გააგრძელებენ პუტინთან ბრძოლას!.. – განაცხადა იაგო ხვიჩიამ.

# ახალი პარლამენტის შეკრებას ვერავინ დაბლოკავს!




**26 ოქტომბერს არჩეული საქართველოს პარლამენტის პირველი სხდომის ჩასატარებლად განსაზღვრული ბოლო ვადა 1 დეკემბერია, თუმცა შესაძლებელია, მე-11 მოწვევის პარლამენტი უფრო ადრეც შეიკრიბოს.**

**საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნებიდან არაუგვიანეს 26-ე დღისა, ცესკო აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს და ადგენს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების საბოლოო შემაჯამებელ ოქმს.**

**არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან 10 დღის განმავლობაში კი ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართება.**

**კონსტიტუციის თანახმად, პირველ სხდომას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.**

**რა მოხდება, თუკი პრეზიდენტი არ დანიშნავს ახალი პარლამენტის პირველ სხდომას?**

კონსტიტუციონალისტმა **ვახუშტი მენაბდემ** „რადიო თავისუფლებას“ უთხრა, რომ კონსტიტუციაში ეს საკითხი პირდაპირ არ არის განსაზღვრული. მისი თქმით, ხელისუფლება, სავარაუდოდ, გამოიყენებს ანალოგიას და იტყვის, რომ პარლამენტი შეიკრიბება, მიუხედავად იმისა, პრეზიდენტი მოიწვევს თუ არა სხდომას, სავარაუდოდ, ბოლო, მე-10 დღეს.

ირაკლი კობახიძემ მმართველი პარტიის ცენტრალურ ოფისში 27 ოქტომბერს გამართულ ბრიფინგზე „რადიო თავისუფლების“ შეკითხვის პასუხად თქვა: „10-დღიანი ვადაა განსაზღვრული პირველი სხდომის გამართვისთვის, მე-10 დღეს თავისით შეიკრიბება პარლამენტი და გაიმართება პარლამენტის პირველი სხდომა. აქ არავითარი საბოტაჟის რესურსი პრეზიდენტს არ აქვს, რომც დაარღვიოს საქართველოს კონსტიტუცია უხეში ფორმით. აქ ფორმალური კომპეტენცია აქვს მხოლოდ პრეზიდენტს, შეუძლია მას უხეშად დაარღვიოს კიდევ ერთხელ კონსტიტუცია, მაგრამ ვერ დაბლოკავს პარლამენტის პირველ სხდომას. კონსტიტუციით განსაზღვრულია, რომ არჩევნების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში აუცილებლად უნდა შედგეს პარლამენტის პირველი სხდომა, შესაბამისად, თეორიულად ჩვენ თუ დავუშვებთ ასეთ უხეშ დარღვევას, მე-10 დღეს თავისით შეიკრიბება პარლამენტი. ამას უზრუნველყოფენ პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტის ბიურო“.

ვახუშტი მენაბდის აზრით, ანალოგია ესადაგება შემთხვევას, როდესაც პრეზიდენტი უარს ამბობს პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევაზე, მაგრამ პარლამენტს მაინც შეუძლია შეკრება.

„უპირატესი პრინციპი არის ის, რომ პრეზიდენტი ხელს ვერ შეუშლის პარლამენტის შეკრებას“, – თქვა კონსტიტუციონალისტმა.

„საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის ან მთავრობის მოთხოვნით პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად იკრიბება მომდევნო 48 საათის განმავლობაში“. – საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 44).

აქვს თუ არა ბერკეტი ოპოზიციას, შეაფერხოს პარლამენტის „სრული უფლებამოსილების შეძენა“?

კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტი პირველ სხდომაზე უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება 150-წევრიანი პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (მინიმუმ 76 მომავალი დეპუტატი). ცესკოს წინასწარი მონაცემებით, „ქართული ოცნება“ 89 მანდატს გააკონტროლებს.

პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას მხოლოდ მას შემდეგ იძენს, რაც პარლამენტის წევრთა ორი მესამედის, 100 დეპუტატის უფლებამოსილებას ცნობენ, რაც არანაკლებ 76 არჩეულ დეპუტატს შეუძლია. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის პარლამენტს.

ვახუშტი მენაბდის თქმით, „ოპოზიციას, სამწუხაროდ, არ შეუძლია პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთვის ხელის შეშლა“.

შესაძლებელია თუ არა მანდატზე უარის თქმა დეპუტატის უფლებამოსილების ცნობამდე?

ვახუშტი მენაბდის განმარტებით, პარტიული სიების რეგისტრაციიდან მოხსნა აკრძალულია არჩევნებამდე 16 დღით ადრე, პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ცნობამდე. დეპუტატების უფლებამოსილების ცნობის შემდეგ კი შესაძლებელია პარტიული სიის იმ ნაწილის ანულირება, რომელიც ვერ მოხვდა პარლამენტში. დეპუტატს კი მხოლოდ უფლებამოსილების ცნობის შემდეგ შეუძლია გადადგომა.

„გვახსოვს, როდესაც 2020 წლის მოწვევის პარლამენტში უარი თქვეს პარლამენტის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტაზე, – ამბობს მენაბდე, და ამატებს, - ოპოზიციის წარმომადგენლების სურვილის შემთხვევაშიც კი მათ არ შეუწყვეტენ დეპუტატის უფლებამოსილებას. აქ ლაპარაკი არის იმაზე, რომ გვყავს ხელისუფლება, რომელიც კანონს არ უწევს ანგარიშს. გეუბნებით, რაც არის პროცედურები, მაგრამ სხვანაირადაც რომ იყოს, არაფერი არ მოასწავებს იმას, რომ ხელისუფლება კანონს დაიცავს. ლეგალური გზების დასახვა ფუჭი იმედი და ენერგიის ფუჭი დახარჯვაა“.

2021 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტმა არ დააკმაყოფილა ოპოზიციიდან არჩეული 51 დეპუტატის კანონიერი მოთხოვნა, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. 2020 წელს არჩეული პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე ცალ-ცალკე, 51-ჯერ უყარეს კენჭი დეპუტატების საკითხს, მაგრამ „ქართული ოცნებიდან“ არც ერთი მომხრე არ ყოფილა.

ზურაბ გირჩი ჯაფარიძემ, თამარ კორძაიამ და ელენე ხოშტარიამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე. მოგვიანებით, თამარ კორძაიამ სარჩელი გამოიტანა და პარლამენტში საქმიანობა დაიწყო. ხოშტარიას და ჯაფარიძეს კი პარლამენტის წევრის უფლებამოსილება მას შემდეგ შეუწყვიტეს, რაც ეს საკითხი „ქართული ოცნებისთვის“ აქტუალური აღარ იყო, რადგან ოპოზიციის დიდი ნაწილი უკვე შესული იყო პარლამენტში.

**დათო გამისონია**

## „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ განცხადება

# არ წახვიდეთ უმრავლესობის ნების წინააღმდეგ!

**„2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ქართველი ხალხის გამარჯვებით, და რადიკალური ოპოზიციის, ომის მომხრე მათი პატრონების, გარყვნილების, ლგბტ პროპაგანდის ლობისტების და ჩვენი ქვეყნის განადგურების მოსურნე ძალების სასტიკი მარცხით დასრულდა. იმდენად მკაფიო პასუხი გასცა ქართველმა ხალხმა ბოლო 3 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მიმართ განხორციელებულ უსამართლო შემოტევებს და შანტაჟს, რომ ერთი არგუმენტიც კი არ არსებობს არჩევნების ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით.**

**თუმცა, არავის ჰქონდა მოლოდინი, რომ რადიკალური ოპოზიცია და მათი მფარველები არჩევნების შედეგებს აღიარებდნენ. ასეც მოხდა – საქართველოში აგენტურის ლიდერად ქცეულმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ მთელი კოჰორტა შემოიკრიბა გარშემო და რევოლუციური სცენარი დაგვიანონსა. ეს ის სალომე ზურაბიშვილია, რომელიც რამდენიმე დღის წინ საზოგადოებას უმტკიცებდა, ხმის მიცემის ელექტრონული პროცედურა იმდენად უსაფრთხოა, რომ არჩევნების გაყალბების იოტისოდენა შანსიც კი არ არსებობსო. თუმცა მთავარი აქ არც ზურაბიშვილი და არც მის გარშემო შემოკრებილი აგენტურაა, მთავარ როლში აქაც მათი პატრონები გვევლინებიან.**

**ცალსახაა, მათ კარგად იციან, რომ ვერსად გაექცევიან ჩატარებული არჩევნების შედეგების აღიარებას, რადგან არ არსებობს არც ერთი ფაქტი, რომელიც რაიმე სახის მანიპულაციაზე მიანიშნებს. ახლა ისინი ცდილობენ, მაქსიმალურად გაწელონ აღიარების პროცესი და რაიმე მაინც გამოივაჭრონ საქართველოს ხელისუფლებისგან. ამის ნათელი დადასტურებაა რამდენიმე საათის წინ, ამერიკის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენის ორი განცხადება და გვსურს, საზოგადოების ყურადღება სწორედ ამ პერსონაზე შევაჩეროთ.**

**პირველი წერილი სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა, რომელიც ასე იწყება: „საქართველოში მძლავრი დემოკრატია 2004 წლიდან იყო და არის ქვეყნის სიძლიერის წყარო “ სახელმწიფო მდივანი კვლავ იმ შეფასების ერთგული რჩება, რომლის მიხედვით ნაცმოძრაობის სისხლიანი რეჟიმი „დემოკრატიის შუქურად“ მიიჩნეოდა. ცხადია თავშივე იკარგება ნდობა იმ განცხადების მიმართ, რომელიც უკიდურესად ანტიდემოკრატიული და არაჰუმანური რეჟიმის მმართველობის წლებს პოზიტიურად აფასებს, ხოლო 26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით არაერთ უსამართლო და არაობიექტურ კრიტიკას გამოხატავს.**

**აღნიშნული განცხადების შემდეგ, სახელმწიფო მდივანი კიდევ უფრო აკონკრეტებს საკუთარ სათქმელს და სოციალურ ქსელში წერს: „საქართველოს პოლიტიკურმა ლიდერებმა პატივი უნდა სცენ კანონის უზენაესობას, ასევე გააუქმონ კანონმდებლობა, რომელიც ძირს უთხრის ფუნდამენტურ თავისუფლებებს“. აი, აქ კი პირდაპირ გამჟღავნდა მოქმედი ადმინისტრაციის სურვილი – მათ არჩევნების შედეგებზე სათქმელი არაფერი აქვთ, კარგად იციან, რომ ლეგიტიმაციას ეჭვქვეშ ვერ დააყენებენ ფაქტების არარსებობის გამო, მაგრამ საკუთარ მოთხოვნებს მაინც გვიყენებენ – საქართველოს ხელისუფლებამ გააუქმოს „ლგბტ პროპაგანდის“ აკრძალვის კანონმდებლობა.**

**პრინციპში, არჩევნების სრულიად გამჭვირვალე შედეგებზე ამ კანონის მიბმა და ამ თემით შანტაჟი მოულოდნელი სულაც არ არის ჩვენი საზოგადოებისათვის. შეგახსენებთ, რომ ეს ის ბლინკენია, რომელმაც გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით ადმინისტრაციაში ადამიანებმა ერთმანეთი არ უნდა მოიხსენიონ როგორც ქალი და კაცი, რადგან თურმე ეს არღვევს „თანასწორობის პრინციპებს“. ეს ის ბლინკენია, რომელიც ღიად ჩაუდგა ლგბტ პროპაგანდას სათავეში და მის მიერ გამოცემული შიდასამსახურებრივი ბრძანებით არათუ წაახალისა პროპაგანდა, არამედ პირდაპირ მიანიშნა აშშ-ის „პარტნიორ“ ქვეყნებს, რომ მათაც ანალოგიური ნაბიჯები უნდა გადადგან.**

**ისიც ფაქტია, რომ ეს პროცესი, ბლინკენის პირველი განცხადება და შემდეგ სოციალურ ქსელში დაკონკრეტება კანონის გაუქმებაზე, საქართველოში აშშ-ის საელჩოდან არის კოორდინირებული. რთული წარმოსადგენია, რის იმედი აქვთ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გაშმაგებით მებრძოლ ჯგუფებს, როდესაც ხედავენ, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ერთხმად შეთანხმდა ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის თაობაზე. რადგან ვხედავთ, რომ მათ ძალიან არასწორი წარმოდგენა აქვთ ქართველ ხალხზე, გვსურს კიდევ ერთხელ მკაფიოდ ვუთხრათ – ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ ქალს არ უნდა დავუძახოთ ქალი, ხოლო კაცს კაცი, დედა დედა არ არის და მამა არ არის მამა, ის ვერანაირი ავტორიტეტით ვერ ისარგებლებს ჩვენს საზოგადოებაში. იმ ადამიანის სიტყვას, რომელიც ლგბტ პროპაგანდას უდგას ავანგარდში, თანამდებობის მიუხედავად, საქართველოში ჩალის ფასიც ვერ ექნება.**

**ჩვენს ქვეყანას სავაჭრო არავისთან არაფერი აქვს. ჩვენმა ხალხმა არჩევნებზე მკაფიო პასუხი გასცა ყველას, ვინც საქართველოში ლგბტ პროპაგანდის დაკანონებას ითხოვდა. ამიტომ, ყველამ კარგად უნდა გაიგოს, რომ არჩევნების აღიარების საკითხი ვერ გახდება ქართველ ხალხთან სავაჭრო თემა. ეს საკითხი დახურულია.**

**რაც შეეხება არჩევნების მიმდინარეობისას დაფიქსირებულ დარღვევებს თუ ხარვეზებს, საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს მათი განხილვის მექანიზმები და რა თქმა უნდა, საჩივრებში ასახული ასეთი პრეტენზიები განხილული და შეფასებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რისთვისაც არ არის აუცილებელი გარედან მითითებები ან ბრძანებები.**

**ფაქტი ერთია – გამჭვირვალე, სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ძალიან ნათლად გამოიხატა ქართველი ხალხის უმრავლესობის გადაწყვეტილება. მოვუწოდებთ ყველას, არ წავიდნენ უმრავლესობის ნების წინააღმდეგ და არჩევნების შედეგები აღიარონ ყოველგვარი ვაჭრობისა და წინაპირობების გარეშე“.**

**28.X.2024**



**ენტონი ბლინკენი: ქალს არ უნდა დავუძახოთ ქალი, ხოლო კაცს კაცი, დედა დედა არ არის და მამა არ არის მამა, ის ვერანაირი ავტორიტეტით ვერ ისარგებლებს ჩვენს საზოგადოებაში.**

# მეღვინეობა „ფალავანი“

## ტრადიციული და თანამედროვე ღვინის სინთეზი



**ჟურნალი OKI წარმოგიდგენთ მეღვინეობა „ფალავანს“, რომელსაც არსებობის ორსაუკუნენახევრიანი ისტორია აქვს. მიუხედავად სირთულისა, ახალმა თაობამ კვლავ შეძლო 2012 წლიდან ახალი სიცოცხლე მიეცა მეღვინეობისთვის და ქარხნისთვის ძველი ტრადიციული იერსახე შეენარჩუნებინა. კომპანია აწარმოებს, როგორც ტრადიციული ქართული წესით დამზადებულ ქვევრის ღვინოს, ასევე კლასიკური ევროპული ტიპისა. განსაკუთრებული ტრადიციებით გაჯერებული წარმოება, თანამედროვე, ახალი მიდგომები და მაღალი ხარისხის ღვინო არის ის, რითაც „ფალავანი“ გამოირჩევა როგორც ქართულ, ისე უცხოურ ბაზარზე. ღვინის მაღალ ხარისხზე კი ის უამრავი ჯილდო მეტყველებს, რომელიც „ფალავანის“ პროდუქციას აქვს მიღებული. მიმდინარე წელს კომპანიამ მოიპოვა სამი ოქროს მედალი, მათ შორის ერთი „ორმაგი ოქრო“ (Double Gold), რომელიც არის იშვიათი ჯილდო, რადგან ის ენიჭება მათ შორის იმ პროდუქციას, რომელიც მოიპოვებს 97 ქულაზე მეტს, მაქსიმუმ 100 ქულიდან. მეღვინეობა „ფალავანის“ განვითარების საინტერესო ისტორიას კომპანიის მომავალი თაობა – მარკეტინგის მენეჯერი ნიკოლოზ კოტეტიშვილი გვიყვება.**

***– როგორია მეღვინეობა „ფალავანის“ შექმნის ისტორია?***

– ჩვენი მეღვინეობის ისტორია XVIII საუკუნის დასაწყისიდან იწყება. ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ არაგვის საერისთავო გააუქმა და ბეჟან ერისთავს სოფელი ქისტაური უბოძა, სადაც ის შემდგომ დასახლდა. მან გააცოცხლა განადგურებული სოფელი და 1780 წლიდან კახეთში პოპულარული გახდა მისი მარანი. გასაბჭოების შემდეგ ერისთავების სახლი, ღვინის მარანი და ვენახები სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. ღვინოზე მოთხოვნა სტაბილურად იზრდებოდა და შემთხვევითობა არ არის, რომ ღვინის ტრადიციით ცნობილ ქისტაურში ახალი ღვინის ქარხანა აშენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ოდესღაც აყვავებული საწარმო განადგურდა და მის კედლებში სიცარიელემ დაისადგურა, თუმცა 1996 წელს ჩემმა ბაბუამ, მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა ძიუდოისტმა ანზორ ქიბროწაშვილმა, შეისყიდა ეს ოდესღაც ცნობილი და ღვინის ტრადიციებით გაჯერებული წარმოება და მას ახალი სიცოცხლე აჩუქა. ამ პერიოდისთვის ბაბუას უკვე ჰქონდა ღვინის წარმოება გორში, სადაც იმ დროისთვის ცნობილი ცქრიალა ღვინო – **REGINA TAMARA** მზადდებოდა. ვინაიდან ის წარმოშობით ახმეტიდან იყო, მას გულით უნდოდა არ დაკარგულიყო მეღვინეობის ტრადიცია ქისტაურში, სამწუხაროდ, ბაბუა ამას ვერ მოესწრო.

2012 წელს კი ახალმა თაობამ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ქისტაურში ღვინის წარმოება აგვეღორძინებინა. ეს რეკონსტრუქცია დღემდე მიმდინარეობს. რადგან მივიღეთ გადაწყვეტილება, მომხდარიყო არა ახალი ქარხნის აშენება, არამედ უკვე არსებული ქარხნის რესტავრაცია, რაც გაცილებით შრომატევადი და რთული ამოცანა აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ დღესაც სამუშაოების დროს, ტერიტორიაზე, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ჩამარხულ ქვევრებს ვპოულობთ, რაც თანდათანობით უფრო გვიღვივებს სიამაყის გრძნობას და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით ჩვენი არჩევანის სისწორეში – შეგვენარჩუნებინა ქარხნისთვის ძველი ტრადიციული იერსახე.

***– რამდენი სახეობის ღვინოს ქმნით? გეგმავთ სამომავლოდ სახეობების დამატებას ან წარმოების გაფართოებას?***

– ჩვენ მუდამ ვცდილობთ, ფეხი ავუწყოთ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. არ ვერიდებით ექსპერიმენტებს, გვსურს სამომავლოდ ახალი პროდუქციის შექმნა.

დღესდღეობით კომპანია უკვე აწარმოებს როგორც ტრადიციული ქართული წესით დამზადებულ ქვევრის ღვინოებს, ასევე კლასიკური ევროპული ტიპის ღვინოს, ამასთან ერთად ვაწარმოებთ ცქრიალა ღვინოს, ბრენდს და ჭაჭას. სულ წარმოებაში 41 სახეობის ალკოჰოლური პროდუქციაა.

***– სად ხდება თქვენი პროდუქციის რეალიზება?***

– დღეის მდგომარეობით კომპანია აწარმოებს ექსპორტს 18 ქვეყანაში, კერძოდ, ესენია: ევროკავშირის ქვეყნები, აშშ, კანადა, ავსტრალია, აფრიკა, ჩინეთი, ისრაელი და, რა თქმა უნდა, საქართველო.

***– რა გამოარჩევს მეღვინეობა „ფალავანს“?***

– საქართველოში ცოტა მოიძებნება ადგილი, სადაც მეღვინეობა ორსაუკუნე-ნახევარია, ფაქტობრივად, შეუწყვეტლივ არსებობს. არ მინდა ტრაბახად ჩამეთვალოს, მაგრამ ჩვენი კომპანია გამოირჩევა პროდუქციის მაღალი ხარისხით, რაც ჩვენი მთავარი მეღვინის, ბატონ ირაკლი ნანეიშვილის დამსახურებაა, რომელიც ჩვენს კომპანიაში მეორე თაობას წარმოადგენს. მამამისმა, გურამ ნანეიშვილმა, განთქმულმა ქართველმა მეღვინემ, საქართველოს მთავარმა შამპანისტმა, ბაბუაჩემთან ერთად ჩვენს ქარხანაში ღვინის წარმოებას საფუძველი ჩაუყარა. მსგავსი არაერთი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო, როცა კომპანიაში მუშაობას ერთი ოჯახის სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი აგრძელებს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია იზრდება და ფართოვდება, მის წევრებს შორის არ იკარგება ერთმანეთის მიმართ ოჯახური დამოკიდებულება, რისი უამრავი მაგალითიც არსებობს ჩვენს კომპანიაში.

ასევე, განსაკუთრებით დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ჩვენი წარმოების ხელმძღვანელის, ბატონ ვაჟა ტუშურის მიმართ, რომელმაც მძიმე პერიოდში დიდი წვლილი შეიტანა ქარხნის შენარჩუნებაში და დღესაც წარმატებით უძღვება მის განვითარებას. მინდა აღვნიშნო, რომ დღეს მისი ვაჟიც ჩვენთან მუშაობს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს კომპანიაში თაობათა უწყვეტ ჯაჭვს.

სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნულის თანაფარდობა განაპირობებს პროდუქციის მაღალ ხარისხს, რაც თითოეული თანამშრომლის დიდი დამსახურებაა. ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ მომხმარებლის შეფასება, არამედ ის უამრავი ჯილდო, რომელსაც ჩვენი პროდუქცია ყოველწლიურად მნიშვნელოვან საერთაშორისო კონკურსებზე მოიპოვებს. მიმდინარე წელს კომპანიამ მოიპოვა სამი ოქროს მედალი, მათ შორის ერთი „ორმაგი ოქრო“ (**Double Gold**), რომელიც არის იშვიათი ჯილდო, რადგან ის ენიჭება იმ პროდუქციას, რომელიც მოიპოვებს 97 ქულაზე მეტს, მაქსიმალური 100 ქულიდან.

***– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?***

– ჩვენი ძირითადი მიზანია, ღირსეულად გავაგრძელოთ ქართული 800-წლიანი მეღვინეობის ტრადიცია. ღვინის ხარისხის ახალ საფეხურზე ასაწევად გადავწყვიტეთ გაგვეშენებინა ბიოვენახები. წელს ველოდებოდით პირველ მოსავალს, მაგრამ, სამწუხაროდ, მევენახეობისთვის ეს იყო მძიმე წელი, უხვი ნალექის გამო ვენახს გაუჩნდა სხვადასხვა დაავადება, რაც ჩვეულებრივი ვენახებისთვის, არათუ ბიოვენახებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, რის გამოც ვერ მოხერხდა მოსავლის მიღება. ვიმედოვნებთ, მომავალი წელი იქნება წარმატებული და ჩვენ შევძლებთ ჩვენი ბიოვენახებიდან მივიღოთ პირველი მოსავალი და ასორტიმენტს ბიოღვინო შევმატოთ. შემდგომ გვსურს, უფრო ჩავუღრმავდეთ ამ საკითხს და ბიომეღვინეობიდან გადავიდეთ ბიოდინამიკურ მეღვინეობაზე. ჩვენი ოჯახისთვის მეღვინეობა არა მხოლოდ ბიზნესია, არამედ, ისევე, როგორც ყველა ქართველისთვის, ის ჩვენი ცხოვრების სტილი და ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა.

**სოფიო მალანია**

**(იბეჭდება ჟუნალ OK!-ის თავაზიანი ნებართვით).**

# გაიცანით სანი ჰოჯი – ღვინის ინდუსტრიის ილონ მასკი!

**IWSC (International Wines and Spirits Competition) საქართველოში რიგით მესამე კონკურსს ჩაატარებს. კონკურსი 2024 წლის 27 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე თბილისში, გურჯაანის ღვინის ფესტივალთან და საქართველოს ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით გაიმართება.**

**წელს კონკურსს განსაკუთრებით შთამბეჭდავი საერთაშორისო ჟიური ეყოლება. ერთ-ერთი მათგანია დიდ ბრიტანეთში ღვინის ინდუსტრიაში აღიარებული ექსპერტი და კონსულტანტი, ლონდონში პრესტიჟული ღვინის ბარების – Diogenes The Dog-ისა და Aspen & Meursault-ის მფლობელი სანი ჰოჯი.**

**სანი თავის სფეროში განსხვავებული მიდგომებითა და მენეჯმენტით არის ცნობილი. როგორც ბრიტანული ღვინის გამოცემა Club Oenologique წერს, ერთი მხრივ, ჰოჯი ცდილობს ღვინოზე საუბრის ენა ბევრად თავისუფალი და მარტივი გახადოს და ადამიანებს საშუალება მისცეს, გამოთქვან საკუთარი აზრები და ემოციები. მეორე მხრივ კი, ის ღვინის პროფესიონალებს მოუწოდებს ნაკლებად ტექნიკური და უფრო მარტივი ენით ისაუბრონ.**

**კონკურსის დაწყებამდე ერთი თვეა დარჩენილი, მანამდე კი სანის ლონდონში დავუკავშირდით და მისი მოლოდინების და გეგმების შესახებ ვესაუბრეთ.**

***– რა მოლოდინები გაქვთ IWSC 2025 Wine and Spirits Judging in Georgia-სთან და როგორ ხედავთ კონკურსის გავლენას ქართულ მეღვინეობაზე?***

– იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, კონკურსზე ველოდები ბევრ ტრადიციული მეთოდით დამზადებულ ღვინოს – ველური საფუვრებით, გოდრით დაწნეხილს და ქვევრში დაყენებულს. ეს არის ის ძველი ღვინის დაყენების მეთოდი, რომელთა დაუფლებაც დიდ ოსტატობას მოითხოვს, ამიტომ განსაკუთრებით დიდი ინტერესით ველი მათ დაგემოვნებას.“

ყველას გვაქვს გარკვეული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ქართული ღვინო, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რა მდგომარეობაა ქართული ღვინის ინდუსტრიაში დღეს. ჩემი აზრით, **IWSC**-ის ყოველწლიური კონკურსი, რომელიც უკვე მესამედ ტარდება ქვეყანაში, კიდევ ერთხელ წარუდგენს მსოფლიოს ქართული მეღვინეობის მრავალფეროვნებას, ხარისხსა და უნიკალურობას.

მე განსაკუთრებით მაინტერესებს, სად იკვეთება ღვინის ტრადიციული დაყენების მეთოდსა და ამ ღვინის მომავალ განვითარებას შორის ზღვარი. მსურს ვნახო, როგორ პასუხობს

# ჩემი საქართველო აქ არის!..

## ყველა ცხინვალელის (და არა მარტო) — სამაგიდო წიგნი!

**მიმდინარე წლის გაზაფხულზე, ქართველი ხალხის სულიერი შემართების, ერთობისა და სამშობლოსთვის თავდადების დიდი გამოვლენის დღეს, 9 (1989) აპრილს, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოჩენილ მკვლევარს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ენათმეცნიერს, ეპიგრაფიკოსს, ფოლკლორისტს, რუსთველოლოგს, ლიტერატურათმცოდნეს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ იოსებ მეგრელიძეს (1909-1996) 115 წელი შეუსრულდებოდა. იგი გურიის – ჩოხატაურის რაიონის თვალწარმტაც სოფელ ხიდისთავში, სახალხო მასწავლებლების შეძლებულ ოჯახში აღიზარდა.**

სახელოვანი მკვლევარი მეცნიერის საიუბილეოდ, ფასდაუდებელი საჩუქარი მიიღეს აღნიშნული განხრის სპეციალისტებმა და მადლიერ მკითხველთა ფართო წრეებმა. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანადგომით, **ახლახან, სამზეო იხილა მართლაცდა მნიშვნელოვანმა ნაშრომმა „სიძველეები ლიახვის ხეობაში“ (ორ გაერთიანებულ წიგნად), რომელიც ყველა პატრიოტი ცხინვალელის (და არა მარტო) სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს.**

**წიგნში გამოწვლილვითაა აღწერილი და შესწავლილი ზემო ქართლის – ლიახვის აუზის IX-XIX საუკუნეების წარწერები. მოცემულია ცნობები მატერიალური კულტურის ძეგლების, საცხოვრებელი, თავდაცვითი, საკულტო ნაგებობებისა და საფლავების ქვების ისტორიული მნიშვნელობის წარწერების შესახებ, აღნუსხულია ლეგენდები, გადმოცემები და მითოლოგიური თქმულებები, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და სხვა სახის მასალები. დახასიათებულია თანამედროვე მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება. ყოველივე ეს ილუსტრირებულია ფოტოსურათებითა და ჩანახატებით.**

წიგნის გამოცემის მთავარი რედაქტორია დიდი მეცნიერის შვილი, ხელოვნებათმცოდნე გუბაზ მეგრელიძე, რედაქტორი – მაკო წოწონავა (ფილოლოგი); დიზაინერ-დამკაბადონებელი – ზაზა გელაშვილი.

✦ ✦ ✦

**როგორც** ცნობილია, **ფრიად განსწავლულ მეცნიერს მეგობრულ-კოლეგიალური ურთიერთობა აკავშირებდა ოს პროფესორებთან – ვასო აბაევთან და ლუდვიგ ჩიბიროვთან.**

მარჯვენამოუღლელი მეცნიერი, წლების მანძილზე, შეთავსებით მოღვაწეობდა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და ჩვეული შემართებით იკვლევდა სიძველეებს დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობებში. მართლაცდა შეუფასებელი ამაგი დასდო ამჟამად რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონს. კერძოდ, იმოგზაურა და ადგილზე აღწერა დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს, ფაწისა და ჯეჯორის ხეობათა სიძველეები, სამლოცველოები, ეკლესია-მონასტრების, თავდაცვის უძველესი ნაგებობანი, ციხე-კოშკები და მათთან დაკავშირებული ლეგენდა-თქმულებები. წიგნის მეორე ნაწილის (1997) რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალექსანდრე ღლონტი წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, **– მარი ბროსესა და ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ, იოსებ მეგრელიძემ პირველად მოინახულა ეს ქართული მიწა-წყალი და დაწვრილებით აღნუსხა იქ დაცული ძეგლები, მათი ნანგრევები.** გამოვლენილი მასალის ერთი ნაწილის გამოქვეყნება კიდეც მოასწრო ძვირფასი შენიშვნებით. მეორე ნაწილი ფრაგმენტული სტატიების სახით 17 ნაწილად ადრე გამოაქვეყნა სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში, მთლიანად გამოსაცემად მომზადებული მასალა კი, სხვა ხელნაწერებთან ერთად, დარჩა მეცნიერის არქივში.

მკვლევარ-მეცნიერის ღირსეული მემკვიდრე, ბატონი გუბაზ მეგრელიძე აცხადებს, – ნაშრომის პირველი ნაწილი 1984 წელს გამომცემლობა „საქართველომ“ დასტამბა, მეორე ნაწილის დარდი კი მამაჩემმა იმქვეყნად გაიყოლა. დღიურის ერთ-ერთ ჩანაწერში აღნიშნულიც ჰქონდა – საზღაპროა ჩემი საქმე, მთელი ძალ-ღონე სხვისი ნაშრომების გამოცემას მოვანდომე და, არა მგონია, ჩემსას ასეთივე პატრონი გამოუჩნდესო.

საბედნიეროდ, ასე არ მოხდა – 1997 წელს ნაშრომის მეორე ნაწილი გამოსცა გაზეთ „სამშობლო ფორტეს“ გამომცემლობამ ბატონ ნუგზარ ფოფხაძის მხარდაჭერით.

პროფ. ი. მეგრელიძე (მარჯვნიდან პირველი) ლიახვის ხეობის სიძველეებთან



**ოკუპირებული რეგიონის უძველესი დასახლებული პუნქტების აღწერა, მათი სიძველეების შესწავლა და გაცოცხლება მნიშვნელოვანი ფაქტორია მეცნიერებაში. ამ ღირებულ ნაშრომამდე, ფაქტობრივად, შეუსწავლელი იყო ცხინვალის რეგიონის ისეთი სოფლები, როგორიცაა: ქოთანთო, ჯავა, ჯავისთავი, ერწო, ქვაისი და სოხთა.**

ისიც ნიშანდობრივია, რომ **ქვაისის მთისწინეთი მუდამ რაჭის საერისთავოს ეკუთვნოდა. ვახუშტი ბატონიშვილს „მართებულად აქვს მითითებული, რომ იგი რაჭის ერისთავთა სამფლობელო იყო. ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი,**




**მაგრამ შემდეგ ქვაისის ზონის სოფლები ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობაში შეიყვანეს და ამით ისტორიული გზა გაამრუდეს. ამ გარემოებამ კი, როგორც ვიცით, დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მთლიანობას.“**

ზემო ქართლი – „ჩემი საქართველო აქ არის,“ – სამშობლოს მარად განუყოფელი მიწა-წყალი, რომელიც მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ **იოსებ მეგრელიძემ ფუნდამენტურად შეისწავლა, აღწერა და აღადგინა ისტორიული სიმართლე, მეცნიერებას შემოუნახა ძვირფასი ინფორმაცია რეგიონის ქართული დასახლებების, ადგილობრივი ტოპონიმებისა და ხალხური ტრადიციების შესახებ, გვიჩვენა ჩვენს მხარეში ოსთა ჩამოსახლების შემდგომ პერიოდში მომხდარი ცვლილებები.**

ბატონ იოსებს შესანიშნავი კოლეგიალური ურთიერთობა გააჩნდა ლიახვისპირა ქალაქის პედსამჭედლოს (პედინსტიტუტი) მკვლევარ-ისტორიკოს, დოცენტ მიხეილ ცოტნიაშვილთან. ცნობილი მეცნიერი მას „კარგ ყმა-მეგობარს“ უწოდებდა.

მაშინ (80-იანი წლების გარიჟრაჟი), ვარდობისთვე ზეობდა ცხინვალქალაქში. ტელმანის ქუჩაზე (23), ქრისტიანულ დღესასწაულს – „ზღუდრობას“ ზეიმობდა ცოტნიაშვილების აღორძინებული ოჯახი, როდესაც კოლხი დიასახლისის – როზა კვაშილავას რაღაც გასაოცარი ხელგარჯილობით დამშვენებულ სუფრაზე, ტრადიციული საგვარეულო სასმისით, საპატიო სტუმრის სადღეგრძელომ ჩამოიარა.

გაგრძელება მე-9 გვ.

ბუნებრივი ღვინის წარმოება თანამედროვე მოთხოვნებს. ძალიან საინტერესო იქნება ქართველი მწარმოებლების მოსაზრებების მოსმენა და ამ თემაზე საუბარი.

***– ღვინის განათლებისა და სტუმართმასპინძლობის სფეროში დიდი გამოცდილება გაქვთ. როგორ ფიქრობთ, როგორ აისახება ეს ცოდნა კონკურსში ღვინის შეფასებაზე?***

ღვინის შეფასებისას უპირატესობას ანალიტიკურ მიდგომას ვანიჭებ. ვინაიდან უშუალოდ ვარ ჩართული ამ სფეროს ყველა ასპექტში და ყოველდღიურად მაქვს სტუმრებთან პირდაპირი შეხება, ღვინის დაგემოვნებისას ვფიქრობ მის კომერციულ პოტენციალზე – რამდენად წარმატებული იქნება ის ღვინის მაღაზიასა თუ ბარში. განსაკუთრებით მაინტერესებს, როგორ წარმოჩნდება ნაკლებად ცნობილი რეგიონის ღვინო მის უფრო პოპულარულ ანალოგთან მიმართებაში. ვცდილობ, წარმოვიდგინო, რა რეაქცია ექნება მომხმარებელს, რომელიც ამ ღვინოს წვეულებაზე მიიტანს და რა ისტორიის მოყოლა შეიძლება მის შესახებ. სწორედ ეს კომპლექსური მიდგომა განსაზღვრავს ჩემს საბოლოო შეფასებებს.

***– ღვინის ინდუსტრიაში თქვენი მდიდარი გამოცდილებიდან გამომდინარე, რა გამორჩეული თვისებები აქვს ქართულ ღვინოებს, რითაც ის განსხვავდება სხვა, თქვენთვის ნაცნობი ღვინოებისგან?***

ქართული ღვინო გამორჩეულია თავისი ტრადიციული დამზადების მეთოდებით და, რაც მთავარია, მრავალფეროვნებით. საინტერესოა, რომ სხვადასხვა ბაზრისთვის განსხვავებული სტილის ღვინოები იწარმოება: აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის ბაზრებისთვის – ადგილობრივი საფუვრებითა და დაბალი სულფიტებით დამზადებული ღვინოები; დასავლური ბაზრებისთვის – ხრაშუნა, სუფთა სტილის ღვინოები; ხოლო ნიშური მომხმარებლისთვის – ბუნებრივი ღვინოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სამივე ეს განსხვავებული მიმართულება ეფუძნება მეღვინეობის ერთსა და იმავე ტრადიციულ საფუძველს, რაც უნიკალურს ხდის საქართველოს - იშვიათია რეგიონი, რომელიც ასეთი მასშტაბით ახერხებს ამ მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

***– როგორც ექსპერტს ღვინის მეცნიერებასა და სტუმარმასპინძლობის სფეროში, როგორ წარმოგიდგენიათ ტექნოლოგიების როლი ქართული მეღვინეობის ტრადიციული მეთოდების შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაში?***

– ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს. საქართველოში ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდი საკმაოდ რთული და შრომატევადია – ის მოითხოვს განსაკუთრებულ სისუფთავეს და დეტალებზე ზედმიწევნით ყურადღების გამახვილებას, რაც მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამ პროცესის ხანგრძლივობა ზოგჯერ აფერხებს გლობალური ბაზრისთვის დამახასიათებელი სტაბილურობის მიღწევას. სწორედ აქ იკვეთება ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი როლი. მაგალითად, არაკომერციული, მაგრამ სელექციური საფუარების გამოყენება უზრუნველყოფს უფრო თანმიმდევრულ და პროგნოზირებად შედეგებს.

უჟანგავი ფოლადის, ბეტონისა და ბეტონის კასრების გამოყენება წარმოადგენს ნაბიჯს უფრო სუფთა და ზუსტი ღვინის წარმოებისკენ. საინტერესო მაგალითია მეღვინეობა „ფაფრის ველი“, რომელიც იყენებს გრავიტაციულ მეთოდს – მათ სამდონიანი ტერასული სისტემა აქვთ, სადაც ყურძენი და ღვინო ბუნებრივად გადაედინება ერთი ქვევრიდან მეორეში. ეს მნიშვნელოვნად ამარტივებს როგორც შერევის, ისე დაწმენდის პროცესს.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ახალ მეღვინეობებს შეუძლიათ წარმატებით დანერგონ თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც გლობალური ბაზრისთვის უფრო სტაბილური ხარისხის ღვინოების წარმოების საშუალებას მისცემთ.



სანი ჰოჯი

**შეგახსენებთ, რომ IWSC (International Wines and Spirits Competition) საქართველოში რიგით მესამე კონკურს ჩაატარებს. IWSC 2025 Wine & Spirits Judging in Georgia, გურჯაანის ღვინის ფესტივალთან და საქართველოს ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, 2024 წლის 27 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე თბილისში გაიმართება. ტრადიციისამებრ, IWSC-ი საქართველოში საერთაშორისო მსაჯთა ვარსკვლავური გუნდით წარდგება, რომელთა გამოცდილებითა და ცოდნით, კონკურსი უმაღლესი სტანდარტების დაცვით ჩატარდება.**

**„IWSC 2025 Wine & Spirits Judging in Georgia“-ში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია 1 ნოემბრამდეა შესაძლებელი.**

**მეღვინეებს წელს მნიშვნელოვანი სიახლე ელით: ღვინის პროდუქციის გარდა, შესაძლებელი იქნება ჭაჭის, ბრენდისა და სხვა მაღალალკოჰოლური სასმელების კონკურსზე წარდგენა.**

## „სიჭაბუკე და ლექსი ერთია“...

# „რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს“...

## ოთო ფალიანი ლადო ასათიანის პრემიის პირველი ლაურეატია!




**ლადო ასათიანი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოეტია რუსთველისა და გალაკტიონის ქვეყანაში. მართალია, მან მხოლოდ 26 წელიწადი იცოცხლა, მაგრამ ზეციური ნიჭით დაჯილდოებულმა ბარდნალელმა ბიჭმა იმდენი პოეტური შედევრი შექმნა, ქართველთა თაობებს ერთსულოვნად შეაყვარა თავი (ბედდამწვარი მჩხიბავის ლევან ბერძენიშვილის გარდა, რომელმაც ახლახან გომბეშოსავით ამოიყიყინა – „ლადო ასათიანი მკვდრადშობილი პოეტიაო!!!) და ერის ღირსეული შვილები კარგა ხანია, ლადო ასათიანის მთაწმინდაზე გადასვენებას ლამობენ...**

**ამ წინადადებას მხარს უჭერს 107 წლის ყველაზე სანდო, ყველაზე ქართული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.**

**ბუნებრივია, ასეთ დროს ლადო ასათიანის ლიტერატურული პრემიის დაარსება გამორჩეულად გასახარი იყო, რადგანაც ეს ფაქტი მხოლოდ წაახალისებს ამ საოცრად ეროვნული მუხტის მატარებელი მგოსნის მთაწმინდაზე ამაღლებას...**

✦ ✦ ✦

**14 ოქტომბერს,** სვეტიცხოვლობა დღეს მწერლის სახლში ლადოს სული და ლეჩხუმური შემოდგომის სურნელი ტრიალებდა. ზნეობრივად, ეროვნული ღირებულებების დაცვით და საქვეყნო საქმეების კარგად დაწყებით ასე გამორჩეული საზოგადოება „ქართულის“ მიერ დაარსებული ლადო ასათიანის ყოველწლიური პრემიის პირველი საბენეფისო საღამოს სვეტიცხოვლობის დღეს ჩატარება ერთობ სიმბოლური იყო, რადგანაც ყოველ ქართველს ღრმა სიბერემდე ახსოვს ლადოს უკვდავი სიტყვები: **„ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში საქართველოს ცხელი გული ასვენია“!..** ამ ცხელი გულების მოვლა-პატრონობა ყველა ჩვენთაგანის ვალია!

ლადო ასათიანის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა ოთო (ოთარ) ფალიანი, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ერთი წიგნის ავტორი, თავმდაბალი, ზნეკეთილი, 31 წლის სვანი ვაჟკაცია, ცოტას ბეჭდავს, მაგრამ... რასაც ბეჭდავს, ლადო ასათიანისა არ იყოს, წაკითხვად და სულის დასამშვიდებლად (ზოგჯერ აღმაფრენადაც) ღირს.

მწერლის სახლში შეკრებილ საზოგადოებას გულწრფელად მიესალმა სახლის დირექტორი ქეთი დუმბაძე. მოკლე სიტყვა წარმოთქვა ლადო ასათიანის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარემ, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა მაყვალა გონაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა სამ ეტაპად ჩატარებული კონკურსის ყველა მონაწილეს და 40-მდე ახალგაზრდა კალმოსნიდან ერთსულოვნად გამორჩეული პირველი ლაურეატი ოთო ფალიანი წარუდგინა მოწვეულ სტუმრებს.

საზოგადოება „ქართულის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, აკადემიკოსმა ვალერი ასათიანმა ჩვენი ცნობილი მოქანდაკის გიორგი შხვაცაბაიას მიერ შექმნილი ლადო ასათიანის ბრინჯაოს მედალი და ფულადი ჯილდო (3 000 ლარი) გადასცა ოთო ფალიანს და ხაზგასმით ილაპარაკა ლადო ასათიანის ყოველწლიური პრემიის დაარსების მნიშვნელობაზე. პრემია 32 წლამდე ახალგაზრდებს გადაეცემათ და ის ხელს შეუწყობს დამწყებ შემოქმედთა წარმოჩენა-წახალისებას...

ლადო ასათიანის პრემიის პირველმა ლაურეატმა წაიკითხა რამდენიმე ლექსი. პროფესიონალი ფსიქოლოგი, ლიტერატურათმცოდნე და სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, რელიგიათმცოდნე ოთარ ფალიანი შესანატრი ორატორიც არის და საკუთარ თუ სხვათა ლექსებს ისე კარგად კითხულობს, არ მოგწყინდება კაცს!

ლადო ასათიანის შთამომავალთა სახელით (მოგეხსენებათ, ლადოს შვილი მანანა ასათიანი ახლახან გარდაიცვალა) მოწვეულ სტუმრებს, კოლეგებს და ლაურეატს მიესალმა ჩვენი ცნობილი მწერალი-დრამატურგი რეზო კლდიაშვილი. შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს პოეტებმა ერეკლე საღლიანმა, ბადრი ქუთათელაძემ...

საღამოზე ჩვენმა შესანიშნავმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ბასიანმა“ ლადო ასათიანის ლექსზე („სალაღობო“) ახლადშექმნილი სიმღერა დააგუგუნა.

მწერლის სახლის სადარბაზო შესასვლელში გიორგი შხვაცაბაიას ლადო ასათიანისადმი მიძღვნილი ბარელიეფები იყო გამოფენილი. საზოგადოება „ქართული“, მწერალთა კავშირი და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ახლა ერთობლივად იზრუნებენ ლადო ასათიანის შხვაცაბაიასეული უმშვენიერესი ძეგლის თბილისის შესაბამის უბანში დასადგმელად **(„რუსთველის პროსპექტზე ხეტიალი ნუ მომიშალოს ღმერთმა, ვიყო მუდამ ასე მხიარული, ქართველი პოეტი მერქვას“!..).**

აქვე მკითხველს შევახსენებ, რომ ოთო ფალიანის მშობელი დედა ცნობილი მხატვარი და მსახიობი ლალი აბშილავაა, მამა კი – ქართული ეკლესიის ერთგული მსახური, ცნობილი პოეტი, მხატვარი და კიდევ უფრო ცნობილი მჭევრმეტყველი, მამა მირიან (მირანო) ფალიანია.

გილოცავთ, მეგობრებო!

**სპარტაკ ჟღენტი**

**აქვე გთავაზობთ ოთო ფალიანის რამდენიმე ლექსს, მკითხველმაც განსაჯოს, ღირსია თუ არა ოთო ფალიანი სახელოვანი პოეტის პრემიისა, რომელიც 25 წლის ასაკში ჭლექით და სიცხით გათანგული, ქვეყნისთვის უმძიმეს ჟამს, მთელ საქართველოს ამხნევებდა: „რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ, და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე“!**

## ნეტავი მაინც ვისი გორის ხარ?

### სულის ხსნა

*თუ გინდ სამასი, სამასმეერთე,*
*არაგველი და ცხრა ძმა თმოგველი,*
*ქართველი მაინც უნდა შეერთდეს,*
*სულის ხსნა აბა როგორ მოგველის.*

✦

ცოდვაა კაცი ამ სახლის გაღმა,
ამ კაკლის გაღმა ვიღაცის ყორედ,
ცრემლი ედება დაბინდულ დაღმართს,
ხავსი ედება დაჩეხილ მორებს.

ვის მიეთვისა, შენი ჩარდახი,
შენი ზვარაკი და გზა საუფლო,
რაც დღემდის იყო, ისიც დამარხეს,
ყველა სხვადასხვა ენით საუბრობს.

ეს საპატრონო და კარ-ჯეჯილი,
ვის მოაფიქრდა, ვის ენაღმება,
ლესავენ მერჩილს*, თიბავს მერჩილი,
თიბავს მერჩილი, რა ენაღვლება.

და ზედ ბალახი როდი შერჩება,
სისხლი ბებუთზე მანდ უნთხევიათ,
მანდ გზა რომ უხვევს, მაქეთ მეჩეთთან,
ქრისტიანობის ქვაკუთხედია.

მე ხმალიც ბევრჯერ თავთან მდებია,
ვუკმევდი, კიდეც ყურბან-ბაირამს,
ახლა მტრედები გუმბათდებიან,
მზემ გუმბათებზე მოიდაირა.

და შენ გგონია, რამეს ვაზუქებ,
თუ გინდა ჰკითხე, ბრძენს და მარჩიელს,
ბევრჯერ გვტაცეს და გაგვამამლუქეს,
საკუთარ თავებს გადაგვაჩვიეს.

წაგვლეკა ხინჯმა მტრის და მოკეთის,
წარიღო რაც კი კარგი მოგვიზღეს,
სულერთი ხდება, როგორ მოვკვდებით,
ცივ იატაკზე თუ თბილ ლოგინზე.

ხანდახან მურსაც გუნდრუკი უძევს,
ხანდახან გვირგვინს სტაცებენ მეფეს,
ხანდახან რწმენა მტკიცეა რჯულზე,
ხანდახან უხმო ძაღლებიც ყეფენ.

ხანდახან ცრემლით ივსება გობი,
კუთვნილი სისხლის ცოდვის ნაღმებად,
ღმერთი მიხედავს მსტოვართ და გმობილთ,
რად უნდა ტაძარს მოჩირაღდნება!

რად უნდა რწმენას წმინდა ლუსკუმი
და მოსანთლისფრო, ჯაჭვის ჟღრიალი,
აჰა, კისერი ვერცხლით მოწნული,
აჰა, სამსალა სავსე ფიალით!

აჰა, წარიღე, ბზეც და საბძელიც,
ვერ მოსპობ მაინც მერცხალს მაღლართან,
არ დაელევა მამულს დამძებნი
და თუმცა კეთრიც ბევრმა დაგვმართა.

შიგნიდან ნაცრეს ხსნიდნენ იარას,
რაც ვერ წაიღეს ხვრიპეს და ხვარცეს,
ტყვია მიზანში მოხვდეს კი არა,
არც ერთი ტყვია არ უნდა აცდეს!

ვინც ვერ შეირგო მადლი ზედაშის,
ვინც ძმის კისერზე დანას ლესავდა,
ყველა მართალის სისხლის ძებნაში,
ვინც მტერთან თვითონ დანათესავდა.

ცოდვაა კაცი ამ სახლის გაღმა,
სხვის საპატრონოდ და გუთნეულად,
დაუდეს მამულს ათასჯერ ნაღმი,
ათასჯერ მიწა იქცა სხეულად.

ვერ დავთმე ჩემი ეზო-საბძელი,
ვერც ეს მამული გულარხეინად
და მაინც გიკვირს, როგორ გავძელი,
რომ არ ვიქეცი სულთნის ყეინად.

თუ გინდ სამასი, სამასმეერთე,
არაგველი და ცხრა ძმა თმოგველი,
ქართველი მაინც უნდა შეერთდეს,
სულის ხსნა აბა როგორ მოგველის...

* (**მერჩილი** – ცელი, სვანურ ენაში)

### მეგობრის მონაყოლი

*როგორ უცნაურად ბიბინებდნენ*
*მიხაკები სასაფლაოზე, მეგონა,*
*ხელს გვიქნევდნენ ჩვენი დედები,*
*დედას ვფიცავარ...*

✦

ყველას უკვდება დედები,
თანდათანობით, უცებ,
გვიმთავრდებიან ცხედრები,
გვეცლება ცაც და ფუძეც..
და ეს სიჩუმე ნაგრილი,
რა სიზმრად სხეულს იხაკს,
დედის თვალებზე აპრილი,
მოიღვივს ვარდს და მიხაკს,
როცა მოიზღავს ჟამი თან,
ჯვარზე გაცემის ჟრჟოლას,
სულს გაატანენ შაითანს,
სხეულს მინდვრების გროვას.
მიწასაც როგორ უხდება,
მიწას დღედაღამ უცვლელს,
მოვა და ჩაემუხლება
დედის საფლავის მუცელს,
ყველას უკვდება დედები,
თანდათანობით, უცებ,
გვიმთავრდებიან ცხედრები,
გვეცლება ცაც და ფუძეც..
მკვდრეთიდან სამახარებლო,
ამ წიაღსამოსახლოდ,
მოვა, ღვთის სხივად გაკრთება,
ჩემს სასთუმალთან ღვივის,
მოვა ღვთისმშობლის ნაკვთება,
ჩემი სამარის ღილი.

### სხვა მისამართი



გადავბარგდებით ჩანთით, ჩემოდნით,
შევიცვლით ბინას, ავეჯს, მისამართს,
გაგვიხარდება, რომ ჯერჯერობით
რანიც ვიყავით, ისევ ისა ვართ.
რა დაგვაკლდება ჩვენ, არაფერი,
ხსოვნა მიგვითვლის თავის ბალანსზე,
ვაი თუ ჩვენთვის ძვირფასი მკვდრები,
აღარ დაგვიხვდნენ ძველ მისამართზე.
ჩვენ კი რას ვიგრძნობთ, ან რას გავიგებთ ,
რით დავუსხლტებით, დროის ნაკეცებს
და მთვარე ისე ჩუმად ჩავიდა,
თითქოს ტაძრის წინ ბერად აღკვეცეს..

### მე რომ ვყვარობდი გოგონას

მთას მივაშურე ზეიმად,
ცეცხლს მიკიდებდა მზე-მისხალ,
ვფიქრობდი ხატში ამოსულს,
აწი რა ძალა შემრისხავს.
გავდიე ჩემსავ გზა-ბოკროს,
ცოტათი მუხლი დამაკლდა,
გადავეხვიე ძმა-ბიჭებს,
მზე ზედ ბეჭებზე დაგვაკვდა..
ვსვით და ვიღრევეთ, რაც წესად
გვქონდა, გამჩენმა გვარგუნა,
ამოვილაღეთ გულ-ღვიძლი,
შევსვით თუ შეგვსვა არღუნმა.
ეძია თვალმა ნაპრალი,
გული უსწორა იალაღს,
მაინც რაღაცა მტანჯავდა,
რაღაც უცნაურტიალა.
მე რომ ვყვარობდი, კამკამებ, –
გოგონას ნაწნავ ნამგალას,
გავხედე, თვალი ჩავკაფე,

საქართველოს რესპუბლიკა

უცბად გასხლტა და გამქრალა.
ვდიე და ვერსად მოვხელთე,
კვალი მინდორმა დაფლა,
გადავევერხვე ოხერ მთებს,
გოგონას კალთებ-ცალფას.
მზე ჩაცვდა მთების კალთებთან,
მთვარეს მოედვნენ წიწვები,
სადმე მაგ მინდორს გავთელავთ
და მკერდზე შემოგიწვები.
დაბნელდა, მთვარე მოღვივდა,
მგლების ამოჰყვა ნაყეფს,
გაქრა ჯავრი და ბოღმიდან,
ნურც ნურაფერი გამყვეს.
ხატს ვფიცავ! არცა მცოდნია,
ქმარი ჰყოლია მურღვი-ცის,
მე რომ მიყვარდა გოგონა,
სხვის კარ-მიდამოს უღვიძებს.
ნაკემსარს, ქმარს უჭილოფავს,
სხვისას ბანდავს და ბლანდაობს,
ამ ჩემი გულის ჭრილობას,
ნეტავ თუ ჩამაჰბანდაო.
მე რომ ვყვარობდი, კამკამებ, –
გოგონას ნაწნავ ნამგალას,
გავხედე, თვალი ჩავკაფე,
უცბად გასხლტა და გამქრალა...

დრო იყო, რომ
ერთმანეთი
გვახარებდა,
გვახარ,
მერე სადღაც
შენც წახვედი,
შენი ჩრდილიც ჩახმა,
შევესწარი
ბევრ ტკივილსაც,
ჯახირსა თუ ჯახანს,
რახან ვცოცხლობ
უნდა მოვრჩე,
ვიდრე დამეთალხა,
დღემდე ამ ცამ
რაც ვერ მნაცრა,
შენი თავი მაცნა,
მერე, რაც კი,
ვერ დამმარხა
ყველა სილა
მაწნა,
დამკარგე და
დაგკარგე და
დავკარგეთ და
დაცხრა,
ჩემი გული,
შენი გული,
ეს ტყეცა და ცა ცხრა,
აღარ მახსოვს,
მერე მოვკვდით,
ვერ მოვკვდით,
თუ რაცხა...



ქეთი დუმბაძე, ოთო ფალიანი,
რეზო კლდიაშვილი

✦ ✦ ✦

*„გადამდებია სიკვდილი, გადამედო და ვკვდები"*

**ტ. ჭანტურია**

გადამდებია ეგ სუნი,
გადამდებია ლექსები,
გადაგდებენ და ვერ ძლებ,
რომ მაგ ფურცლებზე ნემსების,
კვალის მისაგნებს ეძებ.
გადამდებია ეგ შური,
ბოღმას უკიდებს ხანძარს,
აჰა, ეგ ბარძიმ-ფეშხუმი,
ოღონდ სიტყვა არ დაძრა.
ოღონდ არ მესმას ხმა-კრინტი,
გესლის და ბოდვის როკვა,
ცხენი რა ლაგამს გაკვნიტავს,
ქვა-მარილს გაილოკავს.
გადამდებია ეგ ხინჯი,
უსამშობლობა მართებს,
ქარი რა ჯავრით ჩააქრობს,
რწმენით დანთებულ სანთელს.
გადამდებია ეგ რიწა,
ოჩამჩირე და გაგრა,
ეგ მიწა ბევრჯერ შეირწა,
ბევრჯერაც დაგვე (დაგრა)**...
გადამდებია ღიმილი,
მზერა მოილევს ფერდობს,
თვალებში კვირტი ყვავილის,
რით ვეღარ გადაგვედო?
გადამდებია ეგ სურდოც,
ეგ ნასხლი, სურო კავის,
ან სად დგას ბიჭი წიქარით,
ან ვის კალოზე ბღავის?
გადამდებია შენს კარზე,
სხვა გიკითხავდეს მორალს,
მოჩვევა იცის სიკვდილმა,
ერდოს კიდეზე წოლა.
გადამდებია საფიცრე
და სამარის ქვის თლილი,
დავდივართ, ვიდრე გაგვიძლებს,
მიწის ბზარი და ჭრილი.

## სიყვარულის ანატომია

რა კარგია,
რა კარგია,
რა კარგია,
რაკარგ,
მიყვარდი და
რახანია, დამკარგე
და დაგკარგ,
ეგ ვარდები გამხმარან და
გამღვალან და გამღვალ,
რახანია, რახანია,
დამღალე და დამღალ,
გულმა სევდა მომიზომა,
შენ ვერ დაინახავ.
რახანია, რახანია,
რახანია, რახან,
ძვლებს დავყურებ,
გამოხრულან, გამხმარან
და გამხმარ,

---

** (**დაგრა** – სიკვდილი, სვანურ ენაში.)

## გიჟის ეპისტოლე

*ერთი ღამის ჩანაწერებიდან*

შემოდის წვიმა მთვრალი კაცივით,
თეთრ პალატაში ფარდებ-მიმშრალი,
მე ჩემს ნერვებზე ჯავრებაცრილი
საკუთარ გულთქმას გამოვიშარებ..
არა და გრამი არ მაქვს შიშები,
გარეთ ყოველთვის გამოვიშვები,
ვესაუბრები უფალს თქვენობით,
თითქოს აღთქმა მაქვს გაუთქმელობის.

*პალატა* **N - 1**

პალატა ვრცელი დიაგნოზების,
ერთ-ერთი ხშირი, როგორც სტუმარი,
თვალები თვალებს აჰიპნოზებენ,
სახლში გაშვების ვრცელი უარით.
აქ არ არსებობს დრო და რაფაზე,
მხოლოდ წამლების ვრცელი დოსიე
და შიგადაშიგ მედდა აფასებს,
თეთრ პალატაში სევდით მოსილებს..
და ელოდება ზოგი ეფედრინს,
ზოლაფრენსა და ღამით ტრამვადოლს,
რომ შორ მანძილზე გადამფრენები -
ფრინველებივით გადაავადონ.
წასვლა ცოტა ხნით.
და იმახსოვრებს თვალი ბახილებს,
ნაცნობი მედდის ლამაზ კოჭებსაც,
თითქოს იმ მოკლე კაბამ ამხილა,
მედდას კოჭების დანაოჭება
და მოგვესაჯა ყოფა ნაყრუებ, -
სხივნაკლულ დღეთა ფარდის ზოლების -
თვლა და ბოლოდან პირველს
დავყურებთ,
ვუმიზნებთ, წვანან ეს საწოლები,
როგორც ღარიბთა ფენის კრუიზზე.

*პალატა* **N - 2**

აქ არსაიდან მოჩანს კოჭები,
კედლის არც კარი და არც ღრიჭო ჩანს,
წევხარ თუ გდიხარ და შებოჭილი,
ვიღაც დაღრეჯილ კრიჭას გიბოჭავს.
ხუთი პოვარი თეთრ პერანგებში,
გიფერადებენ, ევქარისტიას, -
ყოფის და ყველა მონაპოვარი
ამოსალოკად მექვაბისტია.

*პალატა* **N – 3**

ჩანს დერეფანი და ფილაქნების
იქით კარია, თვალი გისოსებს,
შეეპარება ეგ იაგნები,
უნდა საკუთარ გულთან მიცოცდე,
თუნდ ნემსის ყუნწში გაძვრეს აქლემი
და შენც იპოვნო ის მისაგნები,
საერთო ჩიტთან, ვით მოკავშირის,
ვიდრე პალატის თეთრი საგნები,
ჩაენაცვლება ფერით ნახშირის.
შენ გელანდება, რომი, იბიცა
და ღამღამობით ფხიზლობ, ფხიზლადვე,
შემოდის დილა, კისერს იღრიცავს,
ვიდრე სხვა მდგმურებს შემოხიზნავდეს.

*პალატა* **N – 4**

მწვანე ჰოლია მნახველს იზიდავს,
დამლაგებელი ქალი როზიტა,
ყოფის უენო დარდის პრიზმიდან
მთელი პალატის სევდა რომ ზიდა.
და ალმაცერი მზერით ისხლიტავს,
სურვილს ათასგვარ ფანდნაგულისხმებ,
დამლაგებელს რომ არ გავს მისხლითაც
და თუმცა ფარავს ფარდა კულისებს -
პალატის სივრცეს, ბრუნვას შენობითს,
და როზმარინის სუნი აუდის,
ქალს, შენობას და შრეებს შენობის.

*პალატა* **N - 5**

პალატა, მშვიდი უფანჯრუფანდო
სუნი წამლის და გვამის მორიგი,
გასაუბრება უფრთო უფალთან
ისიც მაგ მორგში თუა მორიგე
და იმ სამყროს ვიწრო პოლიგონს,
გასავლელს მაინც, ნუმეროლოგით
და სულერთია ვინ რა მოირგო,
შესავალი თუ მთელი პროლოგი
ბრწყინავს სინათლე თვალს რომ აცელდი
და ამხელს გვამის, ნეკნს თუ აორტას,
ვიდრე მეყასზე ბასრი ლანცეტით
გადაჭრის ნერვს და ღიმილს გამორთავს..
მწვანე ჰოლია, მედდა განიშნებს
რომ ერთი მზერით სევდა მილაგმო,
ეს იგივეა სახლში გაგიშვან
და მისამართი ვეღარ მიაგნო..
მწვანე ჰოლია სუნი პალატის
აბრუებს ოთახს სიზმრებს იბლანდავს,
გაანდობ წუხილს ღმერთის ნარატივს,
ყველა მცდელობას ღმერთთან
მისვლათა
აქ არ არსებობს დრო და რაფაზე,
მხოლოდ "მდგმურების" ვრცელი დოსიე
და შიგადაშიგ მედდა აფასებს,
თეთრ პალატაში სევდით მოსილებს...

# ჩემი საქართველო აქ არის!..

**მეშვიდე გვერდიდან**

როგორც ყველაზე უმცროს თანამეინახეს, წილად მხვდა, ამაგდარი მეცნიერისთვის ყანწი შემევსო. სამადლობელის შემდეგ, პატივცემულმა პროფესორმა გადმომხედა – ვისი ხარ, ჭაბუკო?!

დავიბენი, პასუხი შევაყოვნე...

– ფრონესპირელია, ჩვენი ნასტუდენტარი, საოლქო გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" განყოფილების გამგე, ოდიკაძეების გვარ-ჯილაგის გამგრძელებელი, თანაც, პაპა გომართას საიმედო მონაგარი! – ჩემს მაგიერ, ჩაიბუბუნა თამადა- მასპინძელმა.

– კეთილი, კარგია, გომართი, გომართა... – მაგიდის კიდეზე, მარჯვენა ხელის თითები მუსიკალურად შეათამაშა „კავკასიოლოგიის პატრიარქმა" და, ჩემდა გასაოცრად, ერთ-ერთ ექსპედიციაში (ფრონეს ხეობა) მონაწილეობის მისაღებად მიმიხმო. ეს კი, ახალგაზრდა ჟურნალისტისთვის, ბუნებრივია, ბევრს ნიშნავდა და დიდი პატივიც იყო.

✦ ✦ ✦

**დეკემბრის** (1981 წ.) იმ მოღუშულ დილას, ქალაქის თეატრალურ მოედანზე, სასტუმრო „ირისთონის" წინ, ყველა (იოსებ მეგრელიძე, მიხეილ ცოტნიაშვილი, ნოდარ მესხრიკაძე, ჩემი თანაკურსელი (თვითნასწავლი ფოტოგრაფი), ქართულენოვანი საოლქო გაზეთის კორესპონდენტი გენადი კახნიაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი ჟურნალისტი უკლებლივ შევიკრიბეთ. იქვე ჩამაბარეს ხელხვავიანი მკვლევარ-მეცნიერის ვეებერთელა „საქმიანი პორტფელი," რაც ჩემთვის ესოდენ საამაყო იყო. პროფესიონალმა მძღოლმა ოთარ ჯაფარიძემ დიდხანს არ დააყოვნა და გაწკრიალებულმა „ვილისმა" გეზი „მრავალ დროების მომსწრე" ხეობისკენ აიღო.

ავტომობილი სწრაფად კეცავს ცხინვალი-ყორნისის (ზნაურის) მოასფალტებული გზის კილომეტრებს. უკან გვრჩება ტბეთი, წუნარი, ავნევი, არკნეთი, თორმანეული, ყორნისი... მძღოლმა, ვახტანასთან, ცენტრალური გზიდან გადაუხვია და „ვილისი" ატალახებულ გზა-სავალს, აქოჩრილი ტყიანი მთის თავზე მდებარე გომართის ჯვრის ეკლესიისკენ მძიმედ გაუყვა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავს: **„ხტანის ზეით არს ეკლესია მთასა შინა, წოდებული გომართა, აწ ცარიელი, მუნიდამ წავალს გზა ლოხოსის მთასა ზედა და პერანგის მთასა ზედა გარდავალს იმერეთის ჭალასა შინა."** ასე მივუახლოვდით გომართას. ცოტა ფეხითაც მოგვიწია თოვლზე გავლა და ნანგრევებთანაც ავედით.

სასიქადულო მეცნიერის მითითებით, რეპორტიორმა, ეკლესიის ნანგრევების კედლებზე შემორჩენილი ფრესკები „ზენიტით," პროფესიული ოსტატობით, სათითაოდ დააფიქსირა. მერე შემცივნული ხელები მოიფშვნიტა, ფოთოლგაცვენილ ნეკერჩხლის ტოტიდან ზურგჩანთა ჩამოხსნა, საიდანაც დაჭრილი ლორი და ორნახადით გაძეძგილი მათარა დააძრო.

– ეს რა მოსწრებული თადარიგი დაგიჭერია, შვილო. ამ დალოცვილ ჩვენს ქვეყანას მშვიდობა ნურასდროს მოჰკლებოდეს! – ჩაიხმატკბილა ჟამთააღმწერმა მიხეილმა და პირთამდე გალიცლიცებულ მომცრო ყანწით ალავერდს ექსპედიციის ხელმძღვანელთან გადავიდა.

– აღსდექ საქართველო, იხარე ივერთ მხარეო! – **ქალის გამოსახულებიან ფრესკასთან მავედრებელი ხელი აღაპყრო სამშობლოს მოჭირნახულე ერისკაცმა, საიდანაც თითქოსდა თამარ მეფის ხატება დაგვყურებდა. იქნებ... ვინ იცის, ვინ იცის!..**

მას შემდეგ, ი. მეგრელიძის ხელმძღვანელობით, კიდევ ორჯერ ვმონაწილეობდი მშობლიური ფრონეს ხეობის (თიღვა, ძაღინა) ექსპედიციებში. სამარადისო ხსოვნა გვმართებს სასიქადულო მამულიშვილისა!

**რობერტ ოდიკაძე,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

# გეოგრაფიული აღნიშვნა
# საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდი

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, გეოგრაფიული აღნივნის რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

**განაცხადის** № 3539/6
**განაცხადის შეტანის თარიღი:** 10/07/2023
**გეოგრაფიული აღნიშვნა:** „საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდი“
**საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია** - ლუდი
**განმცხადებლის სახელი და მისამართი:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159, თბილისი, საქართველო

1. **პროდუქტის დასახელება –** საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდი

2. **პროდუქტის აღწერა**

საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდი დაბალი სპირტშემცველობის მქონე არომატული ალკოჰოლური სასმელია, რომლის დამზადების ტრადიციები საქართველოში უძველესი დროიდან არსებობს. საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდის წარმოების ზონას აღმოსავლეთ საქართველო, კერძოდ, თუშეთის, ფშავ-ხევსურეთისა და ცხინვალის რეგიონების მთიანეთი განეკუთვნება. შესაბამისად, დამზადების ადგილის მიხედვით, ლუდის დასახელებად გამოიყენება: „თუშური ლუდი“, „ფშავ-ხევსურული ლუდი“, „ოსური ლუდი“. მათი წარმოება ხდება ერთმანეთის მსგავსი, ლუდის ხარშვის ტრადიციული მეთოდებით ქერის, სვიის, წყლისა და საფუვრის გამოყენებით. თუმცა, არსებობს გარკვეული განსხვავებებიც (ინგრედიენტების თანაფარდობა, ალაოს დამატებითი დამუშავება და სხვ.), რაც მათ თავისებურებებს განაპირობებს.

ცხრილში მოცემულია თუშური, ფშავ-ხევსურული და ოსური ლუდის ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლეპტიკური მახასიათებლები:

| № | მახასიათებლები | ლუდის დასახელებები | | |
|---|---|---|---|---|
| | | თუშური | ფშავ-ხევსურული | ოსური |
| 1 | ფერი | ბაცი ყავისფრიდან ყავისფრამდე | ბაცი ყავისფრიდან ყავისფრამდე | მუქი ყავისფრიდან შავამდე |
| 2 | სპირტშემცველობა | % 4.7 – 5.5 | 4.7 – 5.5 | 1 – 9 |
| 3 | ექსტრაქტულობა (სვიანარევი ტკბილის სიმკვრივე) % | 11.5 – 12.5 | 11.5 – 12.5 | 12 |
| 4 | გემო | ნაკლებ მწარე, ოდნავ მოტკბო | ზომიერი ან ოდნავ მწარე, დაბალი ინტენსივობის ტკბილი გემოთი | ზომიერად მწარე, ხრაკის ნარჩენის გემოთი |
| 5 | არომატი | სვიის ნაკლები და ალაოს ჭარბი ტონებით | სვიის ნაკლები და ალაოს ჭარბი ტონებით | საშუალოდან ძლიერი ინტენსივობის, სვიის არომატით |
| 6 | სუნი | | | მოხალული ალაოს |

**ინგრედიენტების დახასიათება**

ლუდის წარმოების ძირითადი ნედლეულია: ალაო, რომელიც, ძირითადად, მიიღება ქერისაგან, ასევე, სვია, საფუარი და წყალი.

**ქერის ჯიშები და მათი მახასიათებლები**

**ქერი – Hordeum სახეობა – Hordeum vulgave L. სახესხვაობები:**

**ნუტანს 032-28** – Hovdeum vulgave „nutans“ – 032-28 – მიღებულია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის მიერ ინდივიდუალური მრავალჯერადი მასობრივი გამორჩევის მეთოდით. დარაიონებულია 1940 წლიდან. განვითარების ტიპის მიხედვით საგაზაფხულო ჯიშია. თავთავი – ორმწკრივიანი, მოჩალისფრო ყვითელი ფერის, საშუალო სიმკვრივის; ფხები – მოჩალისფრო ყვითელი, საშუალო სიგრძის, ნაზი, წვრილად დაკბილული; მარცვალი – მოჩალისფრო ყვითელი, ელიფსური ფორმის; ხასიათდება მაღალი და მტკიცე ღეროთი. ყვავილის კილი გლუვია და თანდათანობით გადადის ფხაში ბიოლოგიურად ფაკულტატიური ჯიშია. საშუალო მოსავალი ჰექტარზე 24 ცენტნერს შეადგენს. დარაიონებულია საქართველოს როგორც სარწყავ, ასევე ურწყავი ზონებისათვის; 1000 მარცვლის მასა 39-44 გ-ია.

**ჯავახეთის ახალთესლი** – ადგილობრივი ჯიშის – ნუტანსის სახესხვაობაა, მთიანი ზონის ორმწკრივა, თეთრთავთავიანი ფორმებით; თავთავი – მოთეთრო მოყვითალო ფერის: მარცვალი – მოჩალისფრო ყვითელი, ელიფსური ფორმის. 1000 მარცვლის წონა 47.57 გ-ია, ცილის შემცველობა 11.5%, ექსტრაქტულობა – 72%.

**ახალთესლი ანუ მარტივი ქერი** (Hovdeum vulgave “Akhaltesli”) – ადგილობრივი, ორმწკრივიანი აბორიგენული ჯიშია, ითესებოდა თუშეთსა და ფშავში; ფერი –მოჩალისფრო ყვითელი; მარცვალი ელიფსური ფორმის; 1000 მარცვლის მასა 45 გ-მდეა; ცილის შემცველობა 11.5%-მდე; ექსტრაქტულობა – 72% (ნ. კეცხოველი, 1957).

**კოლხიკუმ** – ადგილობრივი ჯიშია, გამორჩეულია რაჭის ქერებიდან საგაზაფხულო ფორმა, თავთავი ორმწკრივიანია, ღია ყვითელი ფერის, ფხიანია, აქვს ელიფსური ფორმა, საშუალი ზომის. რეკომენდებულია საქართველოს ურწყავი ზონებისათვის. 1000 მარცვლის მასა 40-43 გ-ია.

**პალიდუმ 596** – ადგილობრივი ჯიშია, თავთავი 6-მწკრივიანია, ფხიანი, ჩალისფერი ყვითელი, საკმაო მკვრივი, ეკუთვნის სახესხვაობა პალიდუმს. რეკომენდებულია საქართველოს სარწყავი და შემაღლებული ზონებისთვის. 1000 მარცვლის მასა 55 გრამია. შეიცავს ცილაა – 16.12%-ს, ხოლო მისი ექსტრაქტულობა – 68%-ია. [1; 2]

**სახესხვაობა** – Hordeum vulgare var. pallidum Ser.

**ძველთესლი ანუ თეთრი ქერი** – Hordeum vulgare “Dzveltesli” უძველესი ადგილობრივი ჯიშია, რომელიც ძირითადად თუშეთში ითესებოდა. განვითარების ტიპის მიხედვით, საშემოდგომოა. მცენარე საშუალო სიმაღლისაა. თავთავი მრავალმწკრივიანი, მოჩალისფრო ყვითელი, ოთხკუთხა, ფხები პარალელურად გაწყობილი, უხეში, დაკბილული, მარცვალი მოჩალისფრო-ყვითელი, ელიფსურიდან – ოვალურამდე მოყვანილობის, თავთავი უმეტესად დახრილია, თავთუნის კილი ვიწრო ლანცეტურია, ხშირად ემსგავსება ფხისებრ დანართს, უხვადაა დაფარული გრძელი ბეწვით ან იშვიათად კილის ფუძე შებუსულია. ითესებოდა სვანეთში, რაჭაში, ლიახვის ხეობაში და თუშეთში. 1000 მარცვლის მასა 48 გ-ია, ცილის შემცველობა – 11,8%, ექსტრაქტულობა 76%.[3]

**ძველთესლი შავფხა** – Htetrastichum L. var.nigrum Ser. – ადგილობრივი ჯიშია, გავრცელებული იყო ენგურის, რიონის და ლიახვის ხეობებში და, ასევე, თუშეთში. 1000 მარცვლის მასა 47.6 გ-ია, ცილის შემცველობა – 12.9%, ექსტრაქტულობა – 70.9%.[4]

ლუდის ერთ-ერთი მთავარი ინგრედიენტია სვია.

**სვია** – Humulus lupulus L. კანაფისებრთა (Cannabaceae) ოჯახს მიეკუთვნება. სვიის გვარი იყოფა სამ სახეობად: ჩვეულებრივი სვია (Humulus lupulus L), გულისმაგვარი სვია (H. cordifolius Mig) და იაპონური სვია (H. japonikus Sieg. Et Zuss). ლუდის წარმოებაში გამოიყენება უფრო მეტად ჩვეულებრივი სვია. იგი მრავალწლოვანი, ორსახლიანი, ბალახოვანი მცენარეა. 10 მეტრამდე სიგრძის, ხვიარა, ოთხწახნაგოვანი და წვრილეკლიანი ღერო აქვს, რომელიც საყრდენს კაუჭიანი ეკლებით ეჭიდება. საქართველოში ამ გვარის მხოლოდ ერთი სახეობაა გავრცელებული – ჩვეულებრივი სვია. გვხვდება რაჭა-ლეჩხუმში, აფხაზეთში, აჭარაში, გურიაში, ქართლში, კახეთში, სამაჩაბლოში, თრიალეთში. სამრეწველო მიზნით მოჰყავთ მთელ საქართველოში.

სვია ლუდის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ინგრედიენტია. ლუდის მოსახარშად გამოიყენება მდედრობითი ყვავილები – სვიის გირჩები. მათგან იღებენ ე.წ. ლუპულინს – არომატულ ნივთიერებას, რომელიც ლუდს აძლევს თავისებურ სიმწარეს, სვია აძლიერებს ლუდის ხარისხს, აძლევს მას სასიამოვნო მომწარო გემოს და ხელს უწყობს ლუდის შენახვას. სვიის ნაყოფებს ამზადებენ მომწიფების საწყის სტადიაზე, როდესაც მომწვანო-მოყვითალო ფერს მიიღებს. ეს შეფერილობა ნედლეულის ხარისხის ძირითადი მაჩვენებელია. მათ აგროვებენ ყუნწიანად. შეგროვებულ ნედლეულს აშრობენ ჩრდილში, კარგი ვენტილაციის პირობებში. სვიის „კონუსები“ იკრიფება ადრეული სიმწიფის ფაზაში (ივლისის ბოლო – აგვისტო), როდესაც მათ აქვთ მოყვითალო-მომწვანო შეფერილობა; ყუნწებთან ერთად ჭრიან, რომ არ დაიმსხვრეს.

**საფუარი** – ალკოჰოლური დუღილის უზრუნველსაყოფად „საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდისთვის“ გამოიყენება საფუარი. საფუარს იღებენ უკვე გამოხდილი ლუდისგან. ლუდი დუღილის დროს ზემოთ მოიგდებს ქაფს (ჭიჭს), ხოლო ჭურჭლის ძირზე ილექება თხლე. ჭიჭს წინასწარ საგულდაგულოდ აშრობენ და ინახავენ მშრალ და ცივ ადგილას.

**წყალი** – ლუდის წარმოებისას წ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინგრედიენტს. იგი გავლენას ახდენს დადუღების მსვლელობაზე, საბოლოოდ კი – ლუდის გემოსა და მდგრადობაზე. ლუდის ხარშვისას აუცილებელია წყალში მარილების არსებობა. თუმცა, მათი ჭარბი რაოდენობით შემცველობაც არ არის სასურველი. ტრადიციული ლუდის დასამზადებლად ძირითადად გამოიყენება ადგილობრივი წყაროს წყალი.

3. **წარმოების არეალი**

საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდის წარმოების ზონას აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, თუშეთის, ფშავ-ხევსურეთისა და ცხინვალის რეგიონები წარმოადგენს.

4. **წარმოების ეტაპები**

საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდის სამივე სახეობის დამზადებისათვის გამოიყენება როგორც მსგავსი, ისე განმასხვავებელი მეთოდები.

---

1 ბ. გაბუნია, ნ. ჩხენკელი, ა. ჯაფარიძე, მემცენარეობა, თბილისი 1969 წ. გვ. 36; გ. ბადრიშვილი – მემცენარეობა. თბილისი, 1981 წ. გვ. 91
2 საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დარაიონებული ჯიშების კატალოგი 1997 წლისათვის, თბილისი, 1996 წ. გვ.19
3 ნ. კეცხოველი, 1957წ.
4 ვ. მენაბდე, „საქართველოს ქერები“, 1938წ.; ნ. კეცხოველი, „კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში“, 1957წ.

**საკმაზი სვიის მომზადება**

ლუდის ტკბილში ჩასახარშად სვია წინასწარ მუშავდება. ტყეში მოკრეფილი სვიის გირჩები იკეპება, იფუთება და ასე ჩახურებული რჩება 2-3 დღე. იგი ჩათბება - ჩახურდება. შემდეგ გაიშლება, გაშრება. ლუდის ტკბილის ადუღებისას სვია მასში ჩაიხარშება. რის შემდეგაც სისწვენს კიდევ ერთხელ გაფილტრავენ სვიის ნარჩენებისგან (გაწურვა ხდება ზარფუშის ყელში ან წვრილად მოწნულ გოდორში). სისწვენისთვის სვიის მიცემისა და მისგან გაფილტვრის შემდეგ იწყება ლუდის დადუღება. ასე მზადდება ე.წ. „სვე-ფორი".

**ქერის ალაოს მომზადება**

ლუდის მოსახარშად საჭირო ქერის ალაოს მოსამზადებლად წინასწარ გარჩეული და გასუფთავებული ქერი იყრება დიდ რკინის ან ხის ჭურჭელში. მას ესხმება ქერის რაოდენობაზე დაახლოებით 2-ჯერ მეტი წყალი და აყოვნებენ ორი დღე-ღამის განმავლობაში. ამ დროში მარცვალი კარგად ლბება. შემდეგ იგი გაიწურება ხის ცხრილით ისე, რომ წყალი მთლიანად გამოიწრიტოს, ოღონდ მარცვალი არ უნდა გაშრეს. ეს სველი მარცვალი სქელ ფენად (ერთი ციდის სისქის ფენად) გაიშლება ფარდაგებზე, თბილად დაეფარება ნაბდები და ასე დარჩება 3 დღე. ამ ხნის განმავლობაში მარცვალი გაღივდება, შემდეგ გაშლიან თხელ ფენად, გაახმობენ და დაფქვავენ წისქვილში მსხვილად. ასეთი სახით მიღებული ალაო უკვე გამოიყენება ლუდის მოსახარშად.

**ლუდის ხარშვა**

ლუდის ხარშვა კარგი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ადამიანების მიერ ხორციელდება. ლუდის ხარშვა ხდება სპეციალურად განკუთვნილ სალუდე სპილენძის ქვაბებში. ეს ქვაბები საფუძვლიანად იწმინდება, რათა თავიდან იქნეს აცილებულ გამთბარ ალაოს ტკბილში მავნე მიკრობების გამრავლება.

სალუდე ქვაბში იყრება ალაო და ესხმება წყალი. **„თუშური ლუდის"** შემთხვევაში, მასის 1 წილ ალაოზე ემატება 5 წილი წყალი; **„ოსური ლუდის"** დასამზადებლად, 1 წილ ალაოზე ემატება 4 წილი წყალი, ხოლო **„ფშავ-ხევსურული ლუდის"** შემთხვევაში, 1 წილ ალაოზე – 3 წილი წყალი. ქვაბი მთლიანად ივსება და ხდება მისი საგულდაგულოდ მორევა. ქვაბს ცეცხლი შეენთება და გრძელდება ხსნარის ინტენსიური მორევა ისე, რომ არ მოხდეს წყალში გახსნილი ალაოს ქვაბის ძირზე მიწვა. გაცხელების პროცესში ნარევის დონე მაღლა იწევს და, ქვაბიდან მისი გადმოღვრის თავიდან აცილების მიზნით, პერიოდულად ხდება სითხის მოკლება და მისი შეგროვება დამატებით ჭურჭელში. წამოდუღებისთანავე ხსნარის მორევა წყდება. დუღილისას ქვაბში ნახარშის დონის თანდათან დაკლებასთან ერთად, ხდება მისი შევსება ადრე მოკლებული სითხით. როგორც კი ქვაბში ნახარში თავდაპირველ დონეს გაუთანაბრდება, ცეცხლს ანელებენ და დუღილს აჩერებენ. ნახარშის გაგრილების პროცესში ალაოს მასა ფსკერზე ილექება და წვენი სუფთავდება. წვენის სუფთა ნაწილი ფრთხილად გადაისხმება წინასწარ სპეციალურად გაწმენდილ დამხმარე ჭურჭელში. ამავე ჭურჭელში ისხმება ქვაბში დარჩენილი მღვრიე წვენისა და ლექის ნარევის სპეციალურ ტომრებში გაფილტრული სუფთა წვენიც.

სალუდე ქვაბის კარგად გამორეცხვისა და გასუფთავების შემდეგ მასში ისხმება დამხმარე ჭურჭელში შეგროვებული სუფთა წვენი, რომელსაც ემატება წვენში ჩასახარშად გამზადებული გამშრალი სვია, რომელიც დაახლოებით ქვაბში თავიდან ჩაყრილი ალაოს მასის რამდენიმე ერთეულ პროცენტს შეადგენს. ამის შემდეგ იწყება სვიანარევი ტკბილის მეორედ გაცხელება და დუღილი.

სვიანარევი წვენის დუღილის პარალელურად დამხმარე ჭურჭელში გრძელდება იმ წვენის დაგროვება, რომელიც ჩამოიწურება მასში ჩალაგებული წინასწარ დაწნეხილი და მჭიდროდ თავმოკრულ სპეციალურ ტომრებში არსებული ნახარშიდან.

სვიასთან ერთად, ხარშვის პროცესში გამუქებული და მომწარო გემოს წვენი მიიღება, რომლის სიმწარის დონის დადგენა და შესაძლო კორექტირება ლუდის ხარშვის ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე მხარშველის გემოვნებით ხდება. ხარშვის პროცესის დასრულების მომენტსაც ის ადგენს, რის შემდეგ საცეცხლურის განელებით დუღილი წყდება. წვენის გაფილტვრა, მისგან სვიის ნარჩენების მოცილება ამ ადგილისთვის დამახასიათებელი მეთოდით ხდება. გაფილტრული მასა გასაცივებლად რამდენიმე მცირე ზომის ჭურჭელში ნაწილდება.

ალკოჰოლური დუღილისათვის საჭირო დედა საფუვრის მოსამზადებლად გაფილტრულ და გაგრილებული წვენის მცირე ნაწილს ასხამენ პატარა ჭურჭელში, რომელშიც ემატება წვენში წინასწარ დამბალი და საგულდაგულოდ გაქნილი წინა წელს დამზადებული გამომშრალი საფუარი. კასრს თბილად ფუთავენ და თბილ ადგილას დგამენ. მეორე დილისთვის საფუარშერეულ წვენს დაწყებული ექნება დუღილი, იქნება კარგად აფუებული და მზად დედა საფუვრის დანიშნულებით გამოსაყენებლად. ამიტომ მას შეურევენ წინასწარ გარეცხილ, დიდ ჭურჭელში გადატანილ გაცივებულ წვენს. ჭურჭელს ზემოდან სუფთა საფენს აფენენ და თავს მოუკრავენ. 3-დღიანი ალკოჰოლური დუღილის შემდეგ ლუდი უკვე მზადაა, თუმცა, სრულ გემოსა და არომატს შეიძენს მოხარშვიდან 7-10 დღის შემდეგ.

**ფშავ-ხევსურული ლუდი**

ლუდის დასამზადებლად გარჩეულ-გასუფთავებულ მარცვალს ყრიან თხის ბალნისაგან წმინდად მოქსოვილ ტომრებში და მიაქვთ მდინარეზე დასალბობად. მთლიანად წყლით დაფარულ მასას 2-3 დღე ამყოფებენ წყალში.

მესამე დღეს დამბალი ქერის ტომრებს ნაპირზე გამოზიდავენ და დიდ სიპებზე დაალაგებენ, რათა ქერი კარგად დაიწუროს წყლისაგან. შემდეგ ტომრებს წაიღებენ ერთ რომელიმე გამორჩეულ სახლში, რომელსაც აქვს ფართო, სუფთა და ქერის გასაღვივებლად მოსახერხებელი ადგილი – ჭერხო.

ჭერხოში ტომრებს წამოაპირქვავებენ, ქერს გადმოყრიან და გაშლიან ერთი ციდის სიმაღლეზე და ზემოდან გადააფარებენ მშრალ ნამჯას და ასე დაათბუნებენ, რათა ქერი გაღივდეს – ამ პროცესს „ფორის დადება" ეწოდება.

3-4 დღეში ქერის მარცვალი თითქმის ერთ სანტიმეტრიან ბუსუსებს გამოიღებს და გაღივდება. საერთოდ, ლუდის დუღილის სამზადისი ლუდის საბოლოო სახით მიღების დღემდე 7-8 დღით ადრე იწყება, რასაც ხევსურეთში „ქვაბების დაყრას" უწოდებენ.

გაღივებული ქერის დაფქვით მიღებულ ფქვილს (ფორის ფქვილს) აწყავენ საწყავით და რამდენ საწყაოსაც ჩაყრიან ქვაბში, იმდენ საწყაო წყალს დაასხამენ. ცეცხლზე დადგმულ ქვაბში ჩასხმული ქერისა და წყლის მასას გამუდმებით ურევენ, რათა ფქვილი არ შეიკოლტოს და ფსკერზე არ დაილექოს.

დუღილის დაწყებისას სალუდე მასა ჯერ იმატებს და რომ არ გადმოიღვაროს, ცალკე ქვაბში გადააქვთ, რათა შემდგომი დუღილისაგან დაკლებულ მასას კვლავ დაუმატონ. როცა მთლიანი მასა სასურველ სიმაღლეზე დაიკლებს, ხარშვის პროცესი მთავრდება.

ამის შემდეგ ქვაბს გამოუნელებენ ცეცხლს და თუ წვენი მოტკბო, სქელი და წებოვანი იქნება, დუღილის ციკლი დასრულდება. ცეცხლგამონელებულ ქვაბს რამდენიმე ხანს დააყოვნებენ, რომ ნახარშის უხეშმა მასამ ძირზე დაიწყოს დალექვა. რამდენიმე ხანში წვენის ზედა ნაწილი ისე გაიწმინდება, რომ მას გაწურვა არ სჭირდება და პირდაპირ გადაიღებენ სხვა ჭურჭელში.

ლუდის მისაღებად მიღებულ წვენს თავდაპირველად აღებული ფორის რაოდენობის სვია ეყრება და იწყება აფუების პროცესი.

**თუშური ლუდი (ალუდი)**

ლუდის (თუშურად – „ალუდი") მოსამზადებლად წინასწარ გარჩეულ და გასუფთავებულ ქერს ჩაყრიან დიდ რკინის ან ხის ჭურჭელში (კასრი, კოდი, ქვაბი) დაასხამენ ქერის რაოდენობაზე დაახლოებით 2-ჯერ მეტ წყალს და 3-5 დღის მანძილზე გააჩერებენ. როდესაც ქერი გაღივდება და ღივს გამოიტანს, ჭურჭლიდან ამოიღებენ, გაწურავენ, სქლად დაყრიან ჭილოფზე, რათა მცენარემ გაღვივების პროცესი კიდევ გააგრძელოს. ამის შემდეგ საჭირო ხდება ქერის ხელოვნურად ჩახურება, ამისათვის გაღივებულ ქერს ერთად ყრიან,ააკოკოლავებენ, ზემოდან გადააფარებენ თბილ ნაჭრებს, სულ ზემოთ კი დაუტოვებენ პატარა ღია ადგილს.

ამ პროცესის შემდეგ, ქერი მუქ შეფერილობას მიიღებს და მიიჩნევა, რომ გასაშრობად მზადაა. გაშრობა მზის გულზე ხდება. ქერს მზის გულზე გაფენილ ჭილოფზე გაშლილად დაყრიან და როდესაც მთლიანად გახმება, შემდეგ უკვე მისი დაფქვა და სალუდედ მომზადება იწყება. დაფქულ გამხმარ ქერს ანუ ალაოს ყრიან საალუდე სპილენძის ქვაბში (ზოგიერთი 200 ლიტრზე მეტსაც კი იტევს). სვიას ასხამენ წყალს ერთი-სამზე პროპორციით და ძალიან დიდ ხანს ურევენ, რომ მასა წყალში ბოლომდე გაიხსნას და შემდეგ იწყება მთავარი რიტუალი – ალუდის ცეცხლზე მოხარშვა. უკვე ცეცხლზე შედგმული ალუდისათვის მუდმივი მორევა აუცილებელია, თუმცა, გადამეტებულად არც ეს შეიძლება. სალუდე მასა, ანუ როგორც მას თუშები ეძახიან „დარკო" მალ-მალე ფუვდება და იღვრება ქვაბიდან. ამიტომ მეალუდეებს მუდმივად უწევთ ქვაბიდან ამოსული ლუდის დამხმარე ქვაბებში გადაღება და შემდეგ ისევ მთავარ ქვაბში დაბრუნება. სულ მთლიანად ეს პროცესი დაახლოებით სამ საათამდე დროს მოითხოვს და როდესაც ადუღებული ალუდი ღია ყავისფერ შეფერილობას მიიღებს და გემოთიც გაკეთილშობილდება, იწყება ლუდის გაცივების პროცესი.

ლუდის გაცივებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება და ამ ხნის მანძილზე ქვაბში უკვე მოხარშული ლუდი ზემოთ მოდის, ქვაბის ფსკერზე კი ლექი ილექება. ალუდი რაც უფრო ცივი ხდება, უფრო და უფრო იწმინდება და ქარვისფერშიც გადადის. ამის შემდეგ იწყება ლუდის გაწურვა. ალუდს ფრთხილად და ამღვრევის გარეშე იღებენ ქვაბიდან და ასხამენ სპეციალურ საალუდე საწურში (რომელიც თხის ტყავისგან მზადდება) და წურავენ. დამხმარე ქვაბებში გადატანილ დაწურულ ლუდს ხელახლად გარეცხილ მთავარ დიდ ქვაბში აბრუნებენ და იწყება ლუდის მოდუღების მეორე – ცენტრალური ეტაპი. გაგრილებულ და გაფილტრულ სითხეში ურევენ საფუარს და აცლიან დადუღებას.

ამჯერად ქვაბს ქვეშ უნთებენ ძალიან დიდ და ძლიერ ცეცხლს. კარგი ალუდის მოსამზადებლად განსაკუთრებულად დიდი ცეცხლის დანთებაა საჭირო და შეშასაც წინასწარ არჩევენ ხოლმე. ამ ეტაპზე, ალუდის ქვაბიდან ამოფუების საფრთხე პრაქტიკულად აღარ არსებობს, მაგრამ მაინც სჭირდება ყურადღების მუდმივად მიქცევა, რადგან ზუსტად უნდა შეირჩეს ის დრო, როდესაც ქვაბის ძირიდან ნაკვერჩხლები უნდა გამოიყაროს და ალუდის გაგრილების პროცესი ხელმეორედ დაიწყოს. უკვე საბოლოოდ მოხარშულ ალუდს ხშირად მთელი დღის მანძილზეც კი აგრილებენ და თავდახურულად უდგათ.

ამასობაში ლუდი ზედმეტ თხლეს კვლავ მოშორდება და ზემოთ წამოვა. ამას თუშები „ზისწვენს" ეძახიან. უკვე გაგრილებული ზისწვენი კიდევ ერთხელ გაიწურება და პატარა ჭურჭელში გადანაწილდება და ეს ჭურჭელი შედარებით თბილ ადგილზე ინახება. ალუდი სრულ გემოსა და არომატს მოხარშვიდან 7-10 დღის შემდეგ იძენს. ლუდის დუღების სამზადისი ლუდის საბოლოო სახით მიღების დღემდე 7-8 დღით ადრე იწყება, რასაც თუშეთში „ქვაბების შეკიდებას" უწოდებენ.

**ოსური ლუდი**

ოსური ლუდის მოსამზადებლად გასუფთავებულ ქერს ალბობენ თბილ წყალში, რის შედეგად ის მოცულობაში ორჯერ იმატებს. შემდეგ ალაოს მისაღებად რამდენიმე დღეს აცლიან გაღივებას. მიღებულ პროდუქტს გაშრობის შემდეგ ღერღავენ წისქვილში, სალუდე ქვაბში იყრება ალაო და ესხმება წყალი მასის ერთ წილ ალაოზე 4 წილი წყალი. გამზადებულ მასას ფილტრავენ და ხარშავენ სვიასთან ერთად. ხარშვისას იყენებენ სვიის გირჩებს, რომლებიც ხელს უწყობს არასასურველი ნივთიერებების განდევნას ლუდის სითხიდან. ამის გარდა, სვია ეხმარება საფუვრის ათვისებას და ქაფიანობას. გაგრილებულ და გაფილტრულ სითხეში ურევენ საფუარს და აცლიან დადუღებას.

ოსური ლუდის შემთხვევაში, ალაოს მოსამზადებლად ქერს შეიძლება, ასევე, დაემატოს ხორბალი ან ჭვავი ისე, რომ დამატებული მარცვლოვნების რაოდენობა ქერის რაოდენობის 1/4-ს არ უნდა აღემატებოდეს.

გარდა ამისა, მოსახარშად გამზადებული ალაოს დაახლოებით 2/3 ნაწილს წინასწარ ხალავენ ისე, რომ ალაო მუქი ყავისფერი ხდება. სწორედ ეს განაპირობებს ოსური ლუდის მუქ, თითქმის შავ ფერს.

მნიშვნელოვანია ოსური ლუდის ერთი თავისებურება, რაც დამატებითი ინგრედიენტის სახით ალაოს საწყისი მასის 1%-მდე მასის ჭარხლის შაქრის გამოყენებას ითვალისწინებს. ამასთან, შაქარი შეიძლება დაემატოს სვიასთან ერთად ფერმენტაციის დაწყებამდე შაქრიანობის და, შესაბამისად, ლუდის სპირტშემცველობის გაზრდის მიზნით ან ალკოჰოლური დუღილის პროცესის დამთავრების შემდეგ ლუდის დასატკბობად.

**6. გეოგრაფიული არეალი**

„საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდი"-ს წარმოება ხდება საქართველოს რეგიონებში, შესაბამისად: თუშეთში – „თუშური ლუდი", ხევსურეთში – „ხევსურული ლუდი" და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები) – „ოსური ლუდი".

**7. კავშირი გეოგრაფიულ არეალთან და ადამიანური ფაქტორები**

საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდის სამივე სახეობის მოსახარშად გამოიყენება ადგილობრივი ნედლეული – ქერი, სვია, წყალი.

ქერი საქართველოში უძველეს კულტურად ითვლება. ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ ადამიანმა ძველებურ ოქროს ფულზე გამოაჩუქურთმა ქერის გამოსახულება. საქართველოში ქერი გვხვდება ყველა კლიმატურ ზონაში. საქართველოში, ტრადიციულად, ითესებოდა შემდეგი მრავალმწკრივიანი სახესხვაობები – კეჟერი, კობერი, ჩარათი, გვირგალი (მრგვალი), ხოლო ორმწკრივა სახესხვაობებიდან – მარტივი, ბრტყელი (იგივე ფიცარი), ორრიგიანი. საინტერესოა, რომ ხალხურ ლექსიკაში შემორჩენილია ქერის ჯიშების ამსახველი სახელები – „კობერი ქერი", „ჩარადი ქერი", „გვირგალი ქერი" (მრგვალი), „ძველთესლი ქერი", „კუპური ქერი" (ი. ლ. დეკაპრილევიჩი, ვ. ლ. მენაბდე, 1938).

საქართველო ქერის წარმოშობის ერთ–ერთი უძველესი კერაა. საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში ქერისგან ლუდის წარმოება განვითარებული ყოფილა უძველესი დროიდან. ამ ზონაში მისგან ამზადებდნენ საღმრთო სასმელებს და სურსათს ლუდსა და პურს (ვ. მენაბდე, 1957 წ.). უახლესი არქეოლოგიური გამოკვლევებით, ქერის კარბონიზებული მარცვლები აღმოჩენილია საქართველოს ნეოლითურ-ენეოლითური ხანის ძეგლებზე (ძვ.წ. VI-V ათასწლეულები).

არქეოლოგიური კვლევებით მტკიცდება, რომ ქერის კულტურა საქართველოში ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში იყო გავრცელებული. არქეოლოგიური ძეგლების გათხრისას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნაპოვნია ქერის განსხვავებული ფორმები (ი. მაისაია და სხვ., 2005 წ.).

ი. დეკაპრელევიჩის მონაცემებით, საქართველოში ქერი ითესებოდა XII-XIII საუკუნეებში (ი. დეკაპრელევიჩი, 1938 წ.).

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „...ადამიანის საკვებ მცენარეთაგან, ხორბლეულის შემდგომ, მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა „ქრთილსა" და „ქერს", რომელთა საერთო ზოგად სახელად ვახუშტი ბატონიშვილს „ქრთილნი" აქვს ნახმარი" (ი. ჯავახიშვილი, 1930 წ.).

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725 წწ.) თავის ლექსიკონში იძლევა ამ ტერმინების ასეთ განმარტებას: „ქრთილი" – ქერის საშემოდგომო ნათესი, „ქერი" – ქერის საგაზაფხულო ნათესი (სულხან-საბა ორბელიანი, გამოცემა 1928, 1949 წწ).

ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით ძეგლებში ვხვდებით „ქერსაც" და „ქრთილსაც". როგორც ჩანს, მკურნალობისათვის ხან საშემოდგომო ქერი იხმარებოდა, ხან საგაზაფხულო (ნ. წუწუნავა, 1960 წ.).

ი. გიულდენშტედის 1773 წლის მონაცემებით, ქვემო რაჭის სოფლებში და მთიან რეგიონებში თესავდნენ მრავალმწკრივა ქერს („კეჟერი ქერი") და ორმწკრივა ქერს („ბრტყელი ქერი") (ი. გიულდენშტედი, 1962 წ.).

სალუდე ქერის მისაღებად საჭიროა რბილი და თანაბარი ჰავის პირობები. ამიტომ საუკეთესო პირობებია მთიანი რაიონების საშუალო და მაღალ ზონაში, სადაც სითბოს სიჭარბე და ჰაერის სიმშრალე საგრძნობლად შერბილებულია და კარგ პირობებს წარმოადგენს სალუდე ქერის მოსაყვანად. შედეგად, მისგან დამზადებული ალაო ხარშვისას მიღებულ ლუდს სასიამოვნო გემოსა და ქერისათვის დამახასიათებელ გამორჩეულ არომატს აძლევს, რაც განპირობებულია იმით, რომ, ისტორიულად, ლუდის წარმოებისათვის გამოყენებულ ქერის სხვადასხვა სახეობას ახასიათებდა ცილის შემცველობა დაახლოებით 9-12 %, 1000 მარცვლის წონა არ უნდა იყოს 40 გ-ზე ნაკლები და ექსტრაქტულობა დაახლოებით 70-75%, რაც დადასტურდა თანამედროვე გამოკვლევებით.

კავკასიაში ქერისაგან დამზადებული სასმლის არსებობას ადასტურებს ქსენოფონტე (ძვ. წ. V-IV სს.). მას ხალიბების მეზობლად მდებარე სოფლებში უნახავს ხორბალი, ქერი და ჭურჭლებში ჩასხმული „ქერის ღვინო". ქსენოფონტეს მიერ ხალიბების მეზობელ სოფლებში აღმოჩენილი „ქერის ღვინოს" კავკასიაში იმჟამად მომხმარებელი ყველგან ჰყავდა. მას უდავოდ მოიხმარდნენ ლაზებიც, საიდანაც „ქერის ღვინოს" აღსანიშნავად სახელწოდება „ლუდი" სხვა ქართულ ტომებშიც უნდა გავრცელებულიყო (პ. კოღუაშვილი და სხვ., 2009 წ.).

დღემდე ხევსურეთსა და თუშეთში რელიგიურ დღესასწაულებზე ქერისაგან მზადდება ლუდი, რომელსაც რიტუალური მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მათი ნათესების შენარჩუნებას ამ რეგიონებში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. „ხატის მიწაზე" მხოლოდ ქერი ითესება და მოსავალი გამოიყენება რელიგიურ დღესასწაულზე „საღმრთო ლუდის" და „საღმრთო პურის" დასამზადებლად (გ. არაბული და სხვ. 2006 წ.).

ხევსურეთში გამეფებული იყო ლუდის კულტი. ლუდს ხევსურები მხოლოდ დიდ დღეობებში (მთი ბელმამკალში ჯვართად) წურავდნენ. „...ლუდი რიტუალური სასმელი იყო და მისი მოდუღება სალაღობო-საღრეობოდ არ ხდებოდა. ხევსურთა თქმით, ლუდი ჯანის სარგოა." (გ. არაბული, 2006წ.).

ცნობილია, რომ ლუდისმაგვარ სასმელს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყოველთვის ამზადებდნენ და ამაზე არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი უძველესი სალუდე ჭურჭელიც მეტყველებს. შესაბამისად, ლუდის ხარშვას მთიანეთში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია. ამაზე მეტყველებს, აგრეთვე, ლუდის ხარშვასთან დაკავშირებული ტერმინების და იარაღ-ხელსაწყოების დიდი მრავალფეროვნება, მათ შორის:

- **ალუდის სისწვენი** – ტკბილში (დარკოში) სვიის მოხარშვით მიღებული მწკლარტე ნაყენი;
- **ასაყუო (საფუარი)** – ლუდის დუღილის დროს ზემოთ მოგდებული ჭიჭი;
- **ზარფუში** – არყის გამოსახდელი ქვაბის ხუფი (სახურავი). მზადდება სპილენძის ან თიხისგან;
- **თუნგი** – სპილენძის თუნგი, წყლის საზიდი, მოსაკავებელი და ასადუღებელი; თუნგები იკერებოდა სპილენძის ფირფიტებისაგან. XVIII საუკუნეში თუნგის ტევადობა 8 ხელადას (16 ლ) შეადგენდა;
- **კოში და ტარკოშა** – კოდიდან ლუდის ამოსაღები ჩამჩა;
- **კოჩხო** – ლუდის გადასაღები ხის დიდი საწვნე;
- **საკიდა** – ხაკის ტომრის ჩამოსაკიდი წნელი;
- **სალუდე** – საგანგებო ნაგებობა საქართველოს მთიანეთში, სადაც წარმოებდა ლუდის დადუღება. სალუდეში ინახებოდა ყველა ის ინვენტარი, რომელიც საჭირო იყო ამ პროცესის წარმართვისათვის;
- **სალუდე/ საალუდე ქვაბი** – სპილენძის ფურცლებისგან ნაკერი ლუდის სახარში ჭურჭელი, ქვევრის ფორმისა. ხმარობენ დარკოს და სისწვენისათვის;
- **სამჭირა** – იგივე არტახები ხაკის მუცელზე მოსაჭირებელია, ხმარობენ ლუდის ჩასაყენებლად (ლუდი გააქვთ ხალხში). მას აქვს ნაწილები: პირი, ტანი;
- **საფორე/ კოდია** – დიდი ზომისა. ხმარობენ საალუდე ფორის დასალბობად;
- **საქვაბე** – სასოფლო შენობა, რომელშიც მოთავსებულია საალუდე ქვაბები.
- **ტკბილი (დარკო)** – ალაოს ხარშვის შედეგად მიღებული ტკბილი წვენი;
- გამოხდის ყველა საჭიროება: ლახტბა, ქოჯო, საკიდა, ყელსაჭირა, საჭირა;
- **ყელსაჭირა** – ხაკის ყელის მოსაჭირებელი ორი პატარა ხეა ჯარჯით ერთმანეთზე გადაბმული;
- **ქოჯო/ სარეველა** – ქვაბის სარევი;
- **ყვერბი** – საცეცხლური, რომელზეც გამართულია ქვაბი საქვაბეში;
- **ჩხუტი** – მიცვალებულის მოსახსენიებელ ან ვისმე პატივსაცემად გაშლილ სუფრაზე ლუდის გასატანი ჭურჭელი, რომელიც ფორმით იგივე საწდეა;
- **ჭერხო** – ხევსურული სახლის ზემო სართული, სხვენი;
- **ხაკები** – ლუდის გასაწური თხის ბეწვის ან ცხვრის მატყლის სქელი ნართისგან მოქსოვილი ტომრები;
- **ხოტი** – ალაოს ხარშვისა და გაწურვის შემდეგ დარჩენილი მასა, რომელსაც მზეზე აშრობენ და ზამთარში საქონელს აჭმევენ წყლით მარილში აზელილს.

მთიანეთში ლუდის ხარშვის პროცესის მართვა წარსულში ხდებოდა და დღესაც ხდება ლუდის ტრადიციული მეთოდით ხარშვაში დახელოვნებული პირების მიერ, რომლებსაც გამოუმუშავდათ ლუდის ხარშვის პროცესის „შეგრძნებისა" და მისი ოპტიმალური მართვის უნარი და გამოცდილება, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა.

ლუდის სარიტუალო პროცესების სათავეში იდგა ხევისბერი. ხევისბერობა განსაკუთრებით პატივსაცემი და საკრალური თანამდებობა იყო. ეს სახალხო დავალება, უპირველეს ყოვლისა, მას ხატსა და ხალხს შორის შუამავლობას აკისრებდა.

ხევისბერის აუცილებელი მოვალეობაა, რომ ყოველი ხატობის წინ „იწმინდაოს" (შეინახოს ყველანაირი მარხვა), ამიტომ იგი სახლში კი არა, ხატის საბეროში დგებოდა და განმარტოებით ცხოვრობდა მცირე სამარხვო საკვებით.

ჩვეულებრივი დღესასწაულის დროს ლუდის დაყენება ხდებოდა ჯვრის სალუდეში. კოდის გახსნისა და დალოცვის შემდეგ ლუდი ჩხუტებით გამოჰქონდათ საბერეზე და იწყებოდა საერთო სმა, გაამზადებდნენ სუფრას და საღამოსათვის ყველანი იქ მოიყრიდნენ თავს.

თუშ-ფშავ-ხევსურეთი ლუდის სარიტუალო დანიშნულება კარგადაა გამოხატული მიცვალებულთა სულის მოსახსენებელ დღესასწაულებზე. ესაა გარდაცვალებულთა პატივსაცემად გამართული წლისთავი (ფშავში), საქნარი (ხევსურეთში) და წლის ალუდი (თუშეთში), რომელთაგან, ამ შემთხვევაში, უფრო საინტერესოა თუშური ალუდი-ალუდები. ამ რიტუალების მთავარი დედააზრია სიამოვნების მინიჭება და პატივისცემა მიცვალებულთა სულებისათვის, რაც გამოიხატება მათდამი სუფრის გაშლით, დატირებით და დოღის გამართვით. გარდაცვლილის სახლში იმართება დიდი პურობა, რომელიც მიმდინარეობს სარიტუალო ლუდის სმით.

ლუდის მოხმარების ასეთი ფართო, სარიტუალო დანიშნულება კიდევ ერთხელ ადასტურებს ლუდის, როგორც საკულტო სასმლის უძველეს წარმოშობას საქართველოს მთიანეთში, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული რელიგიური რწმენის ყველაზე უადრეს ფორმასთან – ანიმიზმთან. მთიელმა კარგად იცის ლუდის ფასი, მისი ცხოვრების სიხარულიანი დღეები ლუდთანაა დაკავშირებული, მძიმე შრომისაგან დაღლილს ლუდი აძლევს ახალი ძალ-ღონის მოკრების საშუალებას და ერთი მისი ნატვრაც ლუდის გამოულევლობითაა ნაოცნებარი: „დგომაც ქნა შავის ლუდისა. გათავდის წესიმც არ იყვა." საინტერესოა, რომ ლუდის კურთხევა ხუცესის მიერ უნდა მომხდარიყო.

ლუდის სმაც ერთგვარ რიტუალთან იყო დაკავშირებული და ამისათვის გამოიყენებოდა სპეციალური თასები: ფანცკალა, ოთხყურიანი, სურები, საყეენო – ფეხებიანი თასი და ხახმატში-ბატონ-ყეენი.

საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდის მოსახარშად, გარდა ქართული სალუდე **ადგილობრივი** ჯიშების ქერისა, გამოიყენება ადგილობრივი სვიის ყვავილოვანი გირჩები, რომლებიც მდიდარია სურნელოვანი ეთერზეთებით, რაც განაპირობებს ლუდის ზომიერად მომწარო და განსხვავებულ არომატულ გემოს.

ამდენად, საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდის მახასიათებლები დაკავშირებულია როგორც ადამიანის ფაქტორთან, ისე ადგილობრივ ინგრედიენტებთან, კერძოდ: წყალთან, ქერთან და სვიასთან.

## 8. ეტიკეტირება

პროდუქტის ეტიკეტზე დასახელების აღნიშვნისას გამოიყენება:

**ქართულად – „საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდი"**
**და წარწერა „დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა".**

გარდა ამისა, რეგიონების მიხედვით ეტიკეტზე დამატებით უნდა მიეთითოს:

„ფშავ-ხევსურული ლუდი", ან „თუშური ლუდი", ან „ოსური ლუდი".

**ინგლისურად** – „Georgian Highiland Traditional beer"
და წარწერა „Protected Geographical Indication".

გარდა ამისა, რეგიონების მიხედვით ეტიკეტზე დამატებით უნდა მიეთითოს:

ან „Pshav-Khevsurian beer", ან „Tushetian beer", ან „Ossetian beer".

**რუსულად** – „Традиционное пиво Грузинского высокогорья"
და წარწერა „Охраняемое Географическое Указание".

გარდა ამისა, რეგიონების მიხედვით ეტიკეტზე დამატებით უნდა მიეთითოს:

ან „Пшав-Хевсуретское пиво", ან „Тушетское пиво", ან „Осетинское пиво".

## 9. მაკონტროლებელი ორგანოები

დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის – „საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდის" სპეციფიკაციებთან და მისი წარმოების მახასიათებლებთან შესაბამისობის კონტროლი ხორციელდება:

- თვითკონტროლით, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდის მწარმოებელი;
- შიდა კონტროლით, რომელსაც ახორციელებს დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის „საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდის" გაერთიანება/ორგანიზაცია, რომელიც მისი საქონლის ხარისხის, რეპუტაციისა და ავთენტურობის უზრუნველყოფის მიზნით, ახდენს ბაზარზე განთავსებული საქონლის დასახელების გამოყენების მონიტორინგსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ქმედებებს;
- გარე კონტროლით, ანუ სახელმწიფო კონტროლით, რომელსაც ახორციელებს კომპეტენტური ორგანო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ან მაკონტროლებელი ორგანო – იურიდიული პირი, რომელსაც სამინისტროს მიერ დელეგირებული აქვს სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანის შესრულება და რომელიც აკრედიტებულია საქართველოს ან ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოს მიერ.

# განცხადება

### საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯიას“ მიერ ნარჩენების აღდგენის (ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების წარმოების) საწარმოს და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაცია**

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:** 2024 წლის 13 ნოემბერს, 12:00 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეულის შენობა და 2024 წლის 13 ნოემბერს, 15:00 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფის მეორე საჯარო სკოლის შენობა. **გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 21 ოქტომბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

# განცხადება

### საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა** - ა(ა)იპ „მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოს" მიერ სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:** 2024 წლის 13 ნოემბერი, 12:00 საათი, ქ. გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების შენობა (მის: ქ.გურჯაანი ნონეშვილის ქ. N2). **გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 21 ოქტომბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

# აღდგენილია ერეკლე II-ის სტამბაში გამოცემული „ჟამნი“



**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების კონსერვაციისა და რესტავრაციის განყოფილებამ დაასრულა 1791 წელს ერეკლე II-ის სტამბაში დაბეჭდილი „ჟამნის“ რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოები. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ეს უნიკალური ბიბლიოგრაფიული ერთეული ავთენტურობის სრული დაცვით აღდგა.**

**„წიგნი მთლიანად შევისწავლეთ. დაშლილი იყო ბლოკი, რომელიც აღვადგინეთ. ჩატარდა ფურცლების ნაწილობრივი რესტავრაცია-კონსერვაციაც. აღდგა „ჟამნის“ ოდესღაც ულამაზესი ტყავის ყდა, რომელზეც უხვად არის დატანილი ორნამენტები. ყდას ჰქონდა საკეტები ტყავის შესაკრავებით. სამი შესაკრავიდან ერთი შემორჩენილი იყო, რის მიხედვითაც სამივე შესაკრავი აღდგა. წიგნიდან ამოვარდნილი ერთ-ერთი ფურცელი, რომელზეც გამოსახულია ბაგრატიონთა გერბი, მიკრული იყო უკანა ყდის შიდა მხარეზე. მოხერხდა მისი შენარჩუნება, პირვანდელი სახით აღდგენა და კუთვნილ ადგილას დაბრუნება. ასევე შენარჩუნდა წიგნის ფორზაცად გამოყენებული მინაწერებიანი ფურცელი. ერეკლეს სტამბის ამ უნიკალური გამოცემის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები წარმატებით დასრულდა და გამოცემას სიცოცხლე მრავალი წლით გაუხანგრძლივდა“,** – ამბობს ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების კონსერვაციისა და რესტავრაციის განყოფილების უფროსი **ნატალია ელიზბარაშვილი.**

**„1791 წელს გამოცემული „ჟამნი“ ლიტურგიკული წიგნია, რომელსაც ოჯახში ყოველდღიურად კითხულობდნენ. მასში შედის ლოცვები, ფსალმუნები და სხვა. ხშირი გამოყენების გამო ასეთი წიგნები სწრაფად ზიანდებოდა. ერეკლე II-ის სტამბაში დაბეჭდილი „ჟამნი“ რომანოზ რაზმაძემ (ზუბაშვილმა) გამოსცა. ის იყო ერეკლეს სტამბის განმაახლებელი. დიდი წვლილი მიუძღვის იმერეთის სტამბების დაარსებასა და განვითარებაში. რაც შეეხება უშუალოდ გამოცემას, მისი ყდა ხის 2 ფირფიტისგან იყო დამზადებული, რომელიც შეერთებული იყო ტყავით – ყუისა და გადასაკრავის დანიშნულებით. წიგნის აღდგენისას კარგად გამოჩნდა ყველა დეტალი. გამოცემა აღდგა ახალი დეტალების დამატების გარეშე, ავთენტურობის სრული დაცვით“,** – ამბობს ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსი **შორენა ოსიპოვა.**

# განცხადება

### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანასტასია ივანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. №9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15 (საკადასტრო კოდი: 01.16.02.024.031)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 40637.52 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 29 ოქტომბერი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 8 ნოემბერი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP102813424;

აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1028134

**6. მოვალე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. №9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP102813424; ლოტის ნომერი: 1028134).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 8 ნოემბრის 12:00 საათამდე.

◎ გვიმრავლოს!



# თბილისში კიდევ ერთი საფეხბურთო ცენტრი შენდება

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თბილისში კიდევ ერთ საფეხბურთო ცენტრს აშენებს. სამუშაოები დიღმის მასივში, საფეხბურთო სკოლა „ავაზას“ ტერიტორიაზე მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სტანდარტული ზომის და შედარებით მცირე ზომის მოედნები, აქ განთავსდება ადმინისტრაციული შენობაც, პროექტის დასრულება 2025 წლის გაზაფხულზე იგეგმება.**

სამუშაოები ფიფას და უეფას პროგრამების, ასევე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსებით ტარდება.

**„წინა ხელისუფლების პირობებში ეს ტერიტორია გასხვისებული იყო. მეპატრონის კონკრეტული ვალდებულება იყო, რომ 10 წლის განმავლობაში შეენარჩუნებინათ სტატუსი და შემდეგ უკვე აღნიშნულ კომპანიას ჰქონდა შესაძლებლობა, ეს სივრცე გამოყენებულიყო სხვადასხვა მიზნებისთვის და მათი სურვილი იყო, რომ კორპუსები აეშენებინათ. მოვახდინეთ აღნიშნული სივრცის ადგილმონაცვლეობა და ეს ტერიტორია გადავეცით ფეხბურთის ფედერაციას. დღეს უკვე კეთდება ორი საფეხბურთო მოედანი. ერთი იქნება სტანდარტული, სრულფასოვანი, გარდა ამისა, ეწყობა ღამის განათება, ტრიბუნები მაყურებელთათვის, ასევე გასახდელები თავისი საშხაპეებით,“** – აცხადებს კახა კალაძე.

დავძენთ, რომ სფფ-ის მიერ მსგავსი ცენტრები უკვე აშენდა ქუთაისში, რუხში, ლაგოდეხსა და გვიმბალაურში, ხოლო საფეხბურთო აკადემია – რუსთავში.

◎ ოქროს ბურთი

# ნელ-ნელა ვეჩვევით

**ფრანს ფუტბოლმა 68-ედ გაათამაშა ოქროს ბურთი და პარიზის შატელეს თეატრში გამართული პომპეზური დაჯილდოების ცერემონიის წინ წითელ ხალიჩაზე, ისევე როგორც შარშან ხვიჩა კვარაცხელიამ, ამჯერად მეუღლესთან ერთად გიორგი მამარდაშვილმა მიიპყრო სპორტული სამყაროს ყურადღება და ვალენსიას ქართველმა ლეგიონერმა საუკეთესო მეკარის ნომინაციაში ერთობ საპატიო მე-7 ადგილი აიკავა (ლევ იაშინის სახელობის პრიზს ზედიზედ მეორედ ბირმინგემის ასტონ ვილას არგენტინელი გოლკიპერი ემილიანო მარტინესი დაეუფლა).**

საერთოდაც, იმ გლამურულ საღამოზე ჩვენი ნოტები არაერთხელ გაჟღერდა. კერძოდ, 1960 წლის შემდეგ პირველად (მაშინ ყველას ლუის სუარესმა აჯობა) მწვრთნელთა და მედიის წარმომადგენელთა ჟიურიმ უპირატესობა ესპანელ **როდრის** მიანიჭა (სიტი), რომელმაც ევრო – 2024-ის მერვედფინალში ჯვაროსნებთან ერთობ საკამათო ვითარებაში გაათანაბრა ანგარიში, ხოლო გოლდენ ბოის გამარჯვებულმა **ლამინ იამალმა,** რომელიც ბარსელონას ზედიზედ მეოთხე ლაურეატი ვუნდერკინდია **ანსუ ფატის, პედრისა** და **გავის** შემდეგ, შარშან თავისი პირველი სანაკრებო გოლი სწორედ თბილისში მწარედ გასახსენებელ (1:7) შესარჩევ შეხვედრაში გაგვიტანა.

ისიც სათქმელია, რომ 21-ე საუკუნეში **მესი-რონალდოს** ეპოქა სრულდება და პირველად მოხდა, რომ ღონისძიებამ მათ გარეშე ჩაიარა, ხოლო რაც შეეხება სკანდალს, იგი მადრიდის რეალს უკავშირდება, რომელიც პროტესტის ნიშნად ბოიკოტის გზას დაადგა და ელიტურ თავყრილობაზე სამეფო კლუბიდან არავის გაუშვა. მიზეზი ბანალურია – ჩემპიონთა ლიგის 15-გზის ტრიუმფატორის აღშფოთება **ვინისიუსის** მეორე ადგილმა გამოიწვია, რომელსაც ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გასული სეზონის რჩეულის დაფნის გვირგვინი უნდა რგებოდა.

ცნობისთვის: კასტილიელები უძლიერეს გუნდად მიიჩნიეს, მათი დებიუტანტი **კილიან მბაპე** კი **ჰარი კეინთან** ერთად 52-52 ბურთით ბომბარდირთა ბომბარდირები გახდნენ.

**ქალთა საუკეთესო გუნდი** – ბარსელონა. **საუკეთესო მწვრთნელები** – კარლო ანჩელოტი (რეალი) და ემა ჰეიეზი (აშშ). **საუკეთესო ქალი ფეხბურთელი** – აიტანა ბონმატი (ბარსელონა).







გიორგი მამარდაშვილი და ელენე ეპიტაშვილი

◎ ფიბა ევროპა

# ქართული კვარტეტი



**დღეს ფიბა-ს მიერ ორგანიზებული საკლუბო ტურნირების მორიგი ტური ტარდება. საქმეშია ფიბა-ს ლიცენზიის მქონე ჩვენი სამივე მოქმედი მსაჯი და ერთი კომისარი. მიხეილ ვართანოვი და კირილე თვაური ფიბა ევროპის თასის სხვადასხვა მატჩებზე – შესაბამისად კვიპროსსა და პოლონეთში იმსაჯებენ, ხოლო არბიტრი მარინა შალამბერიძე და კომისარი მერაბ რატიშვილი ქალთა ევროპის თასის მატჩზე, რუმინეთში იმუშავებენ. აღსანიშნავია, რომ რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში შედგება შალამბერიძის დებიუტი ფიბა-ს საკლუბო ტურნირში. აქამდე, მარინა შალამბერიძეს ფიბა-ს მხოლოდ სანაკრებო მატჩებზე – ქალთა ევრობასკეტის საკვალიფიკაციო ტურნირსა და სხვადასხვა ასაკობრივ ევროპის ჩემპიონატებზე უმუშავია, ხოლო კონსტანცა (რუმინეთი) – პელი კარჰუს (ფინეთი) დაპირისპირება იქნება პირველი საკლუბო ტურნირის მატჩი, რომელსაც იგი მოემსახურება. მისასალმებელია, რომ შალამბერიძეს საკლუბო დებიუტის დროს გვერდში ეყოლება მერაბ რატიშვილი, ფიბა-ს ერთადერთი ქართველი კომისარი, რომელიც აღნიშნულ შეხვედრას კომისრის რანგში მოემსახურება. რაც შეეხებათ მიხეილ ვართანოვსა და კირილე თვაურს, მათ ფიბა ევროპის თასის საკმაოდ პრინციპული მატჩების მომსახურება მოუწევთ. ვართანოვი კვიპროსის დედაქალაქ ნიქოზიაში კერავნოსისა და თურქული თოფაშის ჯახს იმსაჯებს, ხოლო თვაური პოლონეთის ქალაქ სტარგრადში სპოინიისა და რუმინული ორადეას მატჩზე იმუშავებს.**

◎ ოვალური ბურთი

# შედეგიც, პროგრესიც

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რიჩარდ კოკერილმა ნოემბრის ტესტების წინ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

**„27 ოქტომბერს სამი დღით შევიკრიბეთ პარიზში, სადაც ყველა მოთამაშე ერთად გვყავს. ზაფხულის ტესტების შემდეგ აქამდე სრული შემადგენლობით ჯერ არ შევკრებილვართ. შემდეგ მოთამაშეები თავ-თავიანთ კლუბებს დაუბრუნდებიან და უშუალოდ ოლ ბლექს XV-თან სათამაშო კვირაში უკვე მონპელიეში შევიკრიბებით.**

**ცოტ-ცოტა ყველაფერზე ვიმუშავებთ. ცხადია, უპირველესად ჩვენი დერეფანი უნდა გამოვასწოროთ. ტრადიციულად კარგი შერკინება გვყავს, თუმცა მეტად გაუმჯობესება გვჭირდება. საქმე იმაშია, რომ ჩვენ გვყავს ახალგაზრდა და გამოცდილი მოთამაშეების კარგი ნაზავი, დაბალანსება კი სამუშაო პროცესის ნაწილია. ჩვენ გვინდა ახლავე მოვიგოთ, უკვე ვთამაშობდეთ უკეთესად, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მეტად განვავითაროთ ახალგაზრდა მოთამაშეები ავსტრალიისთვის (2027 წლის მსოფლიო თასისთვის).**

**ზაფხულში რამდენიმე ფენომენალური ლელო გავიტანეთ, განსაკუთრებით იაპონიისა და ავსტრალიის წინააღმდეგ. ჩვენ მოგვწონს ასეთი ლაღი და სანახაობრივი თამაში. აკა (აკაკი ტაბუცაძე) და ნინი (დავით ნინიაშვილი) განსაკუთრებული ნიჭის მქონე მორაგბეები არიან. ისინი ისეთ მომენტებს ქმნიან, რასაც სხვა მოთამაშეები ვერ ახერხებენ. საბოლოო ჯამში ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მთლიანობაში გუნდის განვითარება, თუმცა ამავდროულად ვეცადოთ, რომ თამაშები მოვიგოთ.**

**ბევრი ჩვენი მორაგბე საფრანგეთში თამაშობს და მათთან მუდმივ კონტაქტზე ვართ. ასევე გვყავს „შავი ლომის“ მოთამაშეები. ყველა კარგად ემზადება, რათა თამაშებისთვის საუკეთესო კონდიციებში იყვნენ“,** – თქვა კოკერილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ტესტ-მატჩებს ოლ ბლექს XV-ის (10 ნოემბერი), იტალიის (17 ნოემბერი) და ტონგას (24 ნოემბერი) წინააღმდეგ ჩაატარებს.

◎ ორიოდე სიტყვით

**ძალოსნობა**

**პოლონეთი.** 20 და 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი 25 ქართველის მონაწილეობით. **ვერცხლი** – გიგა ოდიკაძე (61, ატაცი, 20-წლამდელები, პირადი მწვრთნელი – **ავთანდილ ხარაზიშვილი,** ამ ასაკის ნაკრების თავკაცი – **მალხაზ ლომთაძე**).

იქვე გამართულ ევროპის ძალოსნობის ფედერაციის გამგეობის სხდომაზე გადაწყდა, რომ 7-წლიანი პაუზის შემდეგ, ევრო – 2026-ს ბათუმი მეორედ უმასპინძლებს.

დავძენთ, რომ ჩვენმა ზღვისპირა მარგალიტმა მძაფრ კონკურენციაში ერთხმად დაამარცხა პოლონეთი და ალბანეთი.

**ძიუდო**

**დისკვალიფიკაციამოხდილი** მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი **ლუკა მაისურაძე** ტატამს უბრუნდება და 9-10 ნოემბერს რომში ევროპის ღია პირველობაზე გამოვა. ამავე წონაში იჭიდავებს მიხეილ კუპრაშვილიც (90).

დანარჩენი ჯვაროსნები: გიორგი იანტბელიძე, ბაგრატ ნინიაშვილი (ორივე – 73) და ვლადიმერ ახალკაცი (81).



**თავისუფალი ჭიდაობა**

**არტაშატი (სომხეთი).** რამზიკ გოლეციანის მემორიალი 20-წლამდელ ფალავანთა შორის. საქართველოს ნაკრები – 10 მედალი. **ოქრო** – დავით ჭეჭელაშვილი (79), სულხან სიკიაშვილი (86), რამინ გულიტაშვილი (97), სანდრო აბრამიშვილი (125). **ვერცხლი** – ლუკა ვანიშვილი (70). **ბრინჯაო** – ნიკა ზანგალაძე (61), დარლან ზალიკიანი (79), სოსო ჯიშკარიანი, ლუკა კვატაშიძე (ორივე – 86), ნიკა ფანცულაია (97).

**ჭადრაკი**

**ვრნიაჩკა-ბანია (სერბეთი).** ევროპის ვაჟთა 39-ე და ქალთა 28-ე ჩემპიონატები კლუბებს შორის. ქართველი ლეგიონერები – 3 მედალი. **ოქრო** – ნანა ძაგნიძე (სლოვენიის „ლიუბლიანა“). **ვერცხლი** –ბელა ხოტენაშვილი (უნგრეთის „მადურა აიკა“). **ბრინჯაო** – ნინო ბაციაშვილი (რუმინეთის „სუპერჩესი“).

საქართველოს რესპუბლიკა

# ამაზრზენი ტყუილების ფრქვევა ამერიკიდან!



**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ამერიკის სამომავლო ნაბიჯები საქართველოსთან მიმართებით, მთლიანად იქნება დამოკიდებული საქართველოს ქმედებებზე.**

„ჩვენს პასუხებს საქართველოს მოქმედებები განსაზღვრავს. უკვე რამდენიმე თვეა საქართველოსთან ჩვენი ურთიერთობების გადახედვა მიმდინარეობს. ჩვენ უკვე შევაჩერეთ 95 მილიონი დოლარის ოდენობის დახმარება საქართველოს მთავრობისთვის და ჩვენ სხვა დახმარება გვაქვს, რომელიც განხილვის პროცესშია“, – განაცხადა მეთიუ მილერმა.

მან ამავე ბრიფინგზე თქვა, რომ არ გამოვრიცხავთ შემდგომ შედეგებს, თუ საქართველოს ხელისუფლების კურსი არ შეიცვლება და საქართველოს მთავრობას მოუწოდა, კარგად გაიაზრონ, რა ტიპის პოლიტიკის წარმოება სურთ და ამ გადაწყვეტილებისას საქართველოს მოსახლეობის ნებაც გაითვალისწინონ:

„ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ ოფიციალურ პირებს, ისეთი პოლიტიკის გაძლიერების ნაცვლად, რომელსაც ავტორიტარები აქებენ, განიხილონ ურთიერთობა, რომლის ქონაც ევროატლანტიკურ საზოგადოებასთან სურთ. საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტს სურს, რომ ქვეყანა ნატოსა და ევროკავშირში იხილოს. საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მოქმედი მთავრობის მიერაა წარმოდგენილი და მიღებული, ხაზს უსვამს ამ ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში გაწევრიანებას. ყველა მხარე ემხრობოდა ამ მიზანს, მაგრამ მმართველმა პარტიამ გადადგა ნაბიჯები, რომლებიც შეუთავსებელია ამ კურსთან“.

მან ისაუბრა საარჩევნო პროცესზე:

„ქართველები შაბათს მივიდნენ საარჩევნო უბნებზე, სადაც საარჩევნო გარემო განპირობებული იყო მმართველი პარტიის პოლიტიკით, მათ შორის, საჯარო რესურსების ბოროტად გამოყენებით, ხმების მოსყიდვით და ამომრჩეველთა დაშინებით. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო არათანაბარი სათამაშო მოედნის შექმნას და შეარყია საზოგადოებისა და საერთაშორისო ნდობა სამართლიანი შედეგის შესაძლებლობის მიმართ“.

მილერის თქმით, საქართველოს ჯერ არ დაუკარგავს დემოკრატიულ გზაზე დაბრუნების შანსი და ამისთვის რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაა საჭირო.

„საქართველოს მთავრობას შეუძლია თავიდან დაბრუნდეს ევროატლანტიკურ, დემოკრატიულ გზაზე – კანონის უზენაესობის პატივისცემით, საარჩევნო პროცესში დაფიქსირებული პრობლემების გადაჭრით, არადემოკრატიული კანონმდებლობის უკან გაწვევით და ევროკავშირის წევრობისთვის საჭირო რეკომენდაციების ზედმიწევნით კარგად შესრულებით. ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ მუდმივად მოვუწოდებდით საქართველოს მთავრობას, შეეწყვიტა ანტიდემოკრატიული ქმედებები და დაბრუნებოდა თავის ევროატლანტიკურ გზას“.

შეკითხვაზე პასუხად, აღიარებს თუ არა სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების ოფიციალურ შედეგებს, მილერმა თქვა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს სურს საარჩევნო დარღვევების გამოძიება მოხდეს.

საარჩევნო დარღვევების გამოძიებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე მილერმა დააკონკრეტა: „მე არ მითქვამს, რომ საქართველოს ოფიციალურმა პირებმა უნდა ჩაატარონ ეს გამოძიება. ჩვენ გვაქვს კონსულტაციები ჩვენ ევროპელ პარტნიორებთან და განვიხილავთ, რომელმა უწყებამ შეიძლება რომ ეს გამოძიება ჩაატაროს“.

შეკითხვაზე პასუხად, ხედავს თუ არა რუსეთის ჩართულობას საქართველოს არჩევნებში, მილერმა თქვა, რომ ამაზე პასუხი ამ ეტაპზე არ აქვს და გამოძიებას დაელოდება. თუმცა, მან ხაზი გაუსვა საქართველოს მთავრობის ქმედებებს.

„ამ ეტაპზე შეფასება არ მაქვს. რუსეთის ჩარევის შესახებ განცხადებების მიღმაც კი, ჩვენ ვნახეთ, რომ მმართველი პარტია დგამდა ნაბიჯებს, რომელიც ზღუდავდა ქართველების უფლებას მონაწილეობა მიეღოთ სრულიად თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში. ჩვენ ვნახეთ ხმების ყიდვა, ჩვენ ვნახეთ დარბევა და რა თქმა უნდა, ეს რუსეთის ჩარევისგან ცალკე საკითხია. ვიტყვი, რომ ჩვენ გვინახავს წლების განმავლობაში როგორ ერეოდა რუსეთი მისი მეზობლების არჩევნებში, ვნახეთ მისი ჩარევა ჩვენს არჩევნებში. ყურადღებით დაკვირვებას ვაგრძელებთ, მაგრამ ამ არჩევნებთან დაკავშირებით შეფასება არ მაქვს“, – განაცხადა მეთიუ მილერმა.

## შალვა პაპუაშვილი:
# ნაჩქარევი განცხადებების გაკეთებას არავის ვურჩევ!



**„ნაჩქარევი განცხადებების გაკეთებას არავის ვურჩევ, ვინაიდან გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შემდეგ ფაქტები სხვა რამეს მეტყველებს ხოლმე და უხერხულ მდგომარეობაში იგდებენ თავს უცხოელი აქტორები“, – ამის შესახებ შალვა პაპუაშვილმა ბრიფინგზე ისაუბრა.**

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, „მართალია, მერე ბოდიშს აღარ იხდიან, მაგრამ საბოდიშოდ აქვთ ხოლმე საქმე“.

„შეგახსენებთ, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის საკითხს, როდესაც ევროკავშირის 27 ქვეყნის სახელით მივიდნენ იუსტიციის სამინისტროში ევროკავშირის და სხვა ელჩები და ყალბი საფუძვლით, თითქოს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობა იყო კრიტიკულ მდგომარეობაში და საჭირო იყო მისი გადაყვანა, გამოუცხადეს დე მარში საქართველოს იმ ქვეტექსტით, რომ მზად იყვნენ, დახმარებოდნენ საქართველოს, რომ ეს პრობლემა – სააკაშვილის ციხეში ყოფნა მოეცილებინათ და სადმე საზღვარგარეთ გაგვეყვანა.

რამდენიმე კვირაში, სტრასბურგის სასამართლომ, 27 ქვეყნის ერთობლივი განცხადება ამხილა იმაში, რომ ეს იყო ცრუ ბრალდებაზე დაფუძნებული. აი, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ევროკავშირი და მისი წარმომადგენლები, რადგანაც აბსოლუტურად გამოგონილ, ცრუ ბრალდებას ეფუძნებოდა ეს დემარში. ვინ ამყარებდა ამ ბრალდებებს – ამყარებდა მაშინდელი სახალხო დამცველი, ქალბატონი ნინო ლომჯარია, რომელმაც ყალბი დასკვნა შეადგინა, სადაც ეწერა, რომ თითქოს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად კრიტიკულია, რომ არის მისთვის სასჯელის გადავადების ყველა საფუძველი და ამ ტყუილში ამხილა სტრასბურგმა ქალბატონი ლომჯარია, რომ არანაირი კრიტიკული მდგომარეობა იქ არ იყო. მეორე – ამ დემარშს საფუძველს უქმნიდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც იმავეს ამტკიცებდნენ მაშინ და ოპოზიცია“, – განმარტა პარლამენტის თავმჯდომარემ.

✦ ✦ ✦

**გახარია და „ლელო“ რას აპროტესტებენ? იმ ეგზიტპოლით, რომელიც მათ მოეწონათ, 8-9% ჰქონდათ. ცესკოს შედეგებითაც 8-9% აქვთ და რით არიან უკმაყოფილოები? — „ნაციონალური მოძრაობის“ და გვარამიას შედეგებით?**

## სანთელი

სპარტაკ ქობულია, ვაჟა დანელია და გია პლატონიშვილი უახლოესი მეგობრების სახელით გულწრფელად უსამძიმრებენ ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორსა და ლიტერატურათმოცდნეს, ცნობილ მწერალსა და პუბლიცისტს **თემურ ჯაგოდნიშვილს** დედის

**სოფო (სონია) მაისურაძის**

**გარდაცვალების გამო.**

## არდავიწყება

საქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენის“ პერსონალი მწუხარებით იუწყება, რომ საზოგადოების თანამშრომელს ხატია ლიპარტელიანს გარდაეცვალა მეუღლე

**გია გივის ძე ზოიძე**

**და სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ხატიას და მის ოჯახს.**

# გული და ალკოჰოლი

### ჭარბ ალკოჰოლს ახალგაზრდებში გულის სერიოზული პრობლემების გამოწვევა შეუძლია

**ახალი კვლევის მიხედვით, ჭარბი ალკოჰოლის მიღების შედეგად შესაძლოა, ადამიანის ნორმალური გულისცემა დაირღვეს და მას არითმია განუვითარდეს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამგვარი სასმლის დიდი რაოდენობით დალევა ჩვენი ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია.**



რა თქმა უნდა, უკვე დიდი ხანია, ცნობილია, რომ ალკოჰოლს გულისცემის ცვლილებები უკავშირდება. ამჯერად მეცნიერები 193 ადამიანს რეალურ დროში დააკვირდნენ, როცა ისინი დიდი რაოდენობით სასმელს იღებდნენ. სპეციალისტებმა მონაწილეებს ელექტროკარდიოგრაფი დაუმაგრეს, რომლის მეშვეობითაც სმისა და მისი შემდგომი გამოფხიზლების პერიოდის შესახებ მონაცემები შეაგროვეს.

შედეგად, არითმია გამოვლინდა იმ ადამიანების 5%-ში, რომელთაც მანამდე მსგავსი არაფერი აწუხებდათ. ეს ცვლილება, ძირითადად, ალკოჰოლის მიღების შემდგომ პერიოდში შენიშნეს. მათ სისხლში ალკოჰოლის დონე კილოგრამზე საშუალოდ 1.4 გრამი იყო, რაც საკმარისია, რომ ორგანიზმზე იქონიოს გავლენა.

არითმიებს შორის იყო როგორც წინა გულის ფიბრილაცია, ისე პარკუჭოვანი ტაქიკარდია. ზოგ შემთხვევაში წუთში გულისცემის სიხშირე 100-საც კი აჭარბებდა. მაგალითად, 26 წლის ერთ-ერთ ცდისპირს წინა გულის ფიბრილაცია ალკოჰოლის მიღებიდან დაახლოებით 13 საათში განუვითარდა. მას ადრე მსგავსი პრობლემა არასდროს ჰქონია.

რამდენიმე ადამიანმა გულის ბლოკადაც განიცადა, ანუ გულისცემის იმპულსის შეფერხება. მათ შორის იყო 29 წლის ქალი, რომელსაც ეს მდგომარეობა 15.4 წამის განმავლობაში გაუგრძელდა.

გულისცემის ამგვარი ცვლილებები საშიშია, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს პროვოცირებული. შესაბამისად, უნდა ვიცოდეთ, რა რისკები ახლავს ჭარბი ალკოჰოლის მიღებას და ვეცადოთ, ის ზომიერად მოვიხმაროთ.

# უკრაინაში ომის დასრულებისთვის ბევრი რამ აშშ-ის პოლიტიკაზეა დამოკიდებული

**უკრაინაში ომის დასრულებისთვის ბევრი რამ არის აშშ-ის პოლიტიკაზე დამოკიდებული, მაგრამ ყველაფერი არა, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ინდურ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა.**

კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა შეერთებულ შტატებში ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ცეცხლის შეწყვეტა, ზელენსკიმ უპასუხა: „ბევრი რამ არის დამოკიდებული ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე. მეჩვენება, რომ ეს არ არის ძალიან ღრმა ანალიზი, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ყველაფერი შეერთებული შტატების არჩევნებზეა დამოკიდებული. ბევრი, მაგრამ არა ყველაფერი“.

უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ომის დაწყებისას უკრაინელი ერი გადარჩა ისეთ პირობებში, როდესაც მას არ ჰქონდა თავისი მოკავშირეების, მათ შორის, შეერთებული შტატების მხარდაჭერა. ზელენსკის თქმით, თავდაპირველად უკრაინული საზოგადოების ერთიანობამ და ძლიერებამ მოიგერია რუსული თავდასხმა.

„დიახ, ამან შეაჩერა ისინი. მაგრამ ჩვენ მხოლოდ საკუთარი ძალებით და საკუთარი იარაღით დეოკუპაციას ვერ შევძლებდით. ყოველ შემთხვევაში, ძალიან ძვირი დაგვიჯდებოდა ადამიანური დანაკარგების მხრივ. ამიტომ ჩვენ დახმარებისთვის ყველა მოკავშირის მადლობელი ვართ. მაგრამ ყველაფერი არ არის დამოკიდებული აშშ-ის არჩევნებზე. ჩვენ არ ვიცით, ვინ იქნება პრეზიდენტი, მაგრამ, რა თქმა უნდა, უკრაინის ორპარტიული მხარდაჭერა დარჩება და ნებისმიერ შემთხვევაში შეერთებული შტატების კონგრესს, რომელთანაც ჩვენ ვმუშაობთ და განვავითარეთ ძლიერი ურთიერთობები, ექნება თავისი პირადი გავლენა ამ ომზე, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება პრეზიდენტი. თუმცა, პრეზიდენტი მაინც აყალიბებს საერთაშორისო პოლიტიკას, რადგან ეს მისი კონსტიტუციური მოვალეობაა“, – განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ნარენდრა მოდის შეუძლია, გავლენა მოახდინოს ომის დასრულებაზე.

## ლინ ჯიანი: საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ხავერდოვნად ჩატარდა!




**ჩინეთი მზადყოფნას გამოთქვამს საქართველოსთან თანამშრომლობისთვის, რათა ორმხრივი ურთიერთობები შემდგომში კიდევ უფრო გაძლიერდეს, – ამის შესახებ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლინ ჯიანმა პეკინში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

მისი თქმით, ჩინეთი ყოველთვის პატივს სცემს ქართველი ხალხის არჩევანს.

„ჩინეთი აღნიშნავს, რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ხავერდოვნად ჩატარდა. ჩინეთი ქართველი ხალხის არჩევანს ყოველთვის პატივს სცემს და გულწრფელად იმედოვნებს საქართველოს სტაბილურობასა და კეთილდღეობას. ჩვენ მზად ვართ, საქართველოსთან ერთად ვიმუშაოთ ორმხრივი ურთიერთობების განვითარების მიმართულებით“, – განაცხადა ლინ ჟიანმა.

## რეჯეფ თაიფ ერდოღანი ქართველ ხალხს არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ულოცავს

**თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი საქართველოს არჩევნებში პარტია „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ულოცავს.**

რეჯეფ თაიფ ერდოღანი აღნიშნავს, რომ არჩევნებმა, რომელმაც



ქართველი ხალხის ნება გამოკვეთა, მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩაიარა.

„გულწრფელად გილოცავთ 2024 წლის 26 ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში პარტია „ქართული ოცნების“ გამარჯვებასა და პირველი ადგილის მოპოვებას. ვიმედოვნებ, რომ არჩევნების შედეგები წარმატების მომტანი იქნება საქართველოს ხალხისა და ჩვენი რეგიონისათვის.

სასიხარულოა, რომ არჩევნებმა, რომელმაც ქართველი ხალხის ნება გამოკვეთა, მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩაიარა.მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ გისურვოთ ჯანმრთელობა და ბედნიერება, ხოლო საქართველოს მეგობარ ხალხს – კეთილდღეობა და ბედნიერება“.

## ნიუ-იორკში შოპენის დაკარგული ვალსი აღმოაჩინეს

**აშშ-ში, ნიუ-იორკის „მორგანის ბიბლიოთეკასა და მუზეუმში“ აღმოაჩინეს ნაწარმოები, რომელიც სავარაუდოდ ცნობილმა პოლონელმა კომპოზიტორმა, ფრედერიკ შოპენმა დაწერა.**

BBC-ს ცნობით, მანუსკრიპტი 1830-1835 წლებით თარიღდება. ის კურატორმა რობინსონ მაკკლელანმა ახალი კოლექციების კატალოგიზაციის დროს იპოვა. ვალსის ავთენტურობის დასადგენად ის შოპენის შემოქმედების ექსპერტებთან მუშაობდა.

მანუსკრიპტი არ არის ხელმოწერილი, თუმცა ექსპერტები თანხმდებიან, რომ მასზე ნოტები ნამდვილად შოპენის ხელით არის დატანილი, რადგან კომპოზიტორის ხელწერისთვის დამახასიათებელი არაერთი ელემენტი ამოიცნეს. ამასთან, ავტორის ვინაობაში მათ ნაწარმოების ჟღერადობაც არწმუნებს.



## ძვირფასო მკითხველო!

გთავაზობთ ტენდერების, აუქციონების, ვაკანსიების, ყოველგვარი რეკლამის, საიუბილეო და სამგლოვიარო განცხადებების განთავსებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. განცხადების ტექსტი შეგიძლიათ გადმოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: sak@sak.ge, rkobulia29@gmail.com, ან მობრძანდით რედაქციაში: თბილისი, აკ. წერეთლის 116, „დიდუბე პლაზას“ შენობა, IV სართ. ოფისი №448, ტელ; 577-772717, 599360035

## ალავერდის საკათედრო ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღიმართა

**სტიქიის შედეგად დაზიანებული ალავერდის სამონასტრო კომპლექსის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის გუმბათზე, ახალჩამოსხმული თითბრის ჯვარი აღიმართა, – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.**

მათივე ცნობით, აბბა ალავერდელი მიტროპოლიტის – მეუფე დავითის (მახარაძე) – მიერ ჯვრის კურთხევასა და არქიტექტორ-რესტავრატორების მიერ მის აღმართვას ესწრებოდნენ სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები და ბრინჯაოს მხატვრული ჩამომსხმელები – ოლეგ გელაშვილი და პაატა გელაშვილი.



ჯვრის დამზადება სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, აღნიშნულ პროცესს კი წინ უძღოდა საპროექტო სამუშაოები. პროექტის მიხედვით გაკეთდა მაკეტი, რომლის საფუძველზეც დამზადდა ყალიბი, რომელშიც ჩამოისხა თითბრის ჯვარი. ჯვრის ჩამოსხმა მიმდინარეობდა არქიტექტორ-რესტავრატორების ზედამხედველობით.

უახლოეს დღეებში იგეგმება გუმბათის ქვედა ნაწილებში დამტვრეული ლორფინების აღდგენა, რის შემდეგაც მოეწყობა სპილენძის საბურველი.

მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 25 ივნისს მომხდარმა ძლიერმა სტიქიამ ალავერდის ტაძრის გუმბათის თუნუქის საფარი დააზიანა, კერძოდ სტიქიამ საფარი გადახადა ტაძრის გუმბათს.

აღდგენითი სამუშაოების ფარგლებში, დასრულდა საეპისკოპოსო სახლსა და ტაძრის დასავლეთ მინაშენზე (სტოა) კრამიტის საბურველის მოწყობა. ასევე, დასრულდა ალავერდის სამონასტრო კომპლექსში შემავალ სიძველეთა საცავის სახურავზე დაზიანებული კრამიტის საბურვლის შეცვლა. მოხდა ტაძრის მკლავებისა და ნავების სახურავებზე დაზიანებული ლორფინების აღდგენა და მცენარეული საფარისგან გაწმენდა. კარიბჭე-სამრეკლოს გუმბათზე მოეწყო სპილენძის ბურული, ხოლო 10 სექტემბერს მასზე აღიმართა ახალჩამოსხმული ჯვარი.

## იაკობ გოგებაშვილის დღე ვარიანში



**„საზოგადო მოღვაწისა და მწერლის დაბადებიდან 184-ე წლისთავს მისმა მშობლიურმა სოფელმა ვარიანმა უმასპინძლა.**

სოფლის ცენტრში წარმოდგენილი იყო საჯარო სკოლების კუთხეები, უწყვეტად მიმდინარეობდა კონცერტი მოსწავლეებისა და ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით.

„დედა ენის“ ავტორი, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი იაკობ გოგებაშვილი ვარიანში 1840 წელს დაიბადა.

ღონისძიებები გორის მერიის მხარდაჭერით, ა(ა)იპ კულტურისა განვითარების ხელშეწყობის სააგენტოსა და გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით გაიმართა“, – წერია ინფორმაციაში.

## მექსიკაში მაიას ცივილიზაციის უზარმაზარი ქალაქი იპოვეს

**როგორც BBC წერს ქალაქი ჯუნგლებში, მცენარეული საფარის ქვეშ იყო დამალული. არქეოლოგებმა მას ვალერიანა დაარქვეს. მათი შეფასებით, ქალაქის განვითარების პიკი ჩვენი წელთაღრიცხვით 750-850 წლებში იყო. ამ პერიოდში იქ 30-50 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. ქალაქში არის პირამიდები, სპორტული მოედნები, ამფითეატრები, გზები და მოედნები. სულ ვალერიანაში 6 764 შენობაა აღმოჩენილი.**

არქეოლოგების ვარაუდით, ეს მაიას ცივილიზაციის სიდიდით მეორე ქალაქი იყო კალაკმულის შემდეგ. ისინი არ არიან დარწმუნებულები იმაში თუ რამ გამოიწვია ქალაქის დაცარიელება, თუმცა ვარაუდობენ, რომ ამაში დიდი წვლილი კლიმატის ცვლილებამ შეიტანა.



მეცნიერებმა აღმოჩენა სამხრეთ-აღმოსავლეთ შტატ კამპეჩეში, ტექნოლოგია Lidar-ის მეშვეობით გააკეთეს, რომელიც ლაზერის გამოყენებით მცენარეული საფარის ქვეშ არსებულ სტრუქტურებს ეძებს და მათ რუკას ქმნის.

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7255; ევრო - 2.9484;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5377;
100 რუბლი - 2.8014; თურქული ლირა - 0.0795;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6026;
1000 სომხური დრამი - 7.0109.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 1 ნოემბერს**